645/1960/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 5 მაისი 1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნ. ს. ხრუშჩოვი თბილისში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7993



მშვიდობის ჩირაღდნები—გრავიურა ხეზე ნ. კალიტასი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

№ 5 მაისი 1960 წ.

საბჭოთა
ქალი

გამოცემის
მეოთხე
წელი



# დაზგებმა ყველაფერი იციან

სამქროში დაზგების ტყეა. ისინი ხმაურობენ, ზორგავენ, ძიგძიგებენ. არ ისვენებენ დაზგები. ნელა მიცოცავენ ქსელები ჩიხრიხებზე, ზოზინით მიძვრებიან ძაფები ფოლადის მარყუქებში. ზევით-ქვევით დახტუნავენ დგიმები—ნახევარი რომ მაღლა მიდის, ნახევარი დაბლა მოექანება. თან მიაქვთ გაჭიმული ქსელი. მაქო დროს შეურჩევს და ელვასავით გასხლტება შუაში. მერე მქნევარა სავარცხელი მიაბეკნის მისაქსელს. ერთხელ, მეორედ... უთვალავჯერ, და მზადაა უკვე ერთი თოფი ქსოვილი.

ამ დაზგებს, ამ დგიმებს, ამ ქსელს ადამიანები აწესრიგებენ. დაძაბულია გონება. დაძაბულია თითები. გაწყდება ძაფი—განასკვავენ. გამოილევა მაქოში მისაქსელი—ახალს ჩადებენ, და ისიც ტყვიასავით გავარდება ხლართებს შორის. მერე მქნევარა სავარცხელი მიაბეკნის...

დგ-დგ, დგ-დგ, დგ-დგ... ხმაურობენ დაზგაბი,—ასე გეჩვენება, როცა პირველად შეხვალ სამქროში. გარეშე კაცს ყოველთვის ასე მოეჩვენება, მაგრამ ერთი ფეიქრებს ჰკითხეთ!

ვის ვკითხოთ?

აგერ ბაბულია კოკოლაშვილს ვკითხოთ. ოცდაორი წელია აქ მუშაობს, ეცოდინება...

... თურმე მასაც ეგონა, დაზგებმა ხმაურის მეტი არაფერი იციანო. მაშინ პირველად შემოდგა ფეხი სამქროში და გამოუცდელი იყო. მერე?

დაზგებმა ლაპარაკი იციანო.

სიხარული და მწუხარება იციანო.

სიმღერაც სცოდნიათ!

დაზგებმა თურმე ყველაფერი იციან!

... ომიანობის დრო იყო. ჭირდა მუშა-ხელი. ოთხ დაზგას ემსახურებოდა ბაბულია. შინ ჩვილი ბავშვი ჰყავდა. მეუღლე მოსკოვის მისადგომებს იცავდა. ცუდი დრო იყო, ცუდი. სინათლეებსაც არ ანთებდნენ სამქროში. მაინც ხმაურობდნენ დაზგები.

დაზგები კი არ ხმაურობდნენ, ესაუბრებოდნენ ბაბულიას, ყველაფერზე ესაუბრებოდნენ, რაც მას უნდოდა.

— ნუ გეშინია, ბაბულია. მეუღლე დაბრუნდება. შენს კუდრაჭას ბალში მოუვლიან. რას ვიზამთ,—ომია, უნდა გავიჭირვოთ.

სევდიანი, მაგრამ მაინც იმედიანი ხმა ჰქონდათ მაშინ დაზგებს.

ბაბულია კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო. მერე პარტიაში შევიდა. შეჯიბრებაში გამოიწვია უკრაინელი ფეიქრები. გაიმარჯვა. დააჯილდოვეს. უკან არ იხევდა. თექვსმეტ საათს მუშაობდა დღე-ღამეში. გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს.

მიდიოდნენ და მიდიოდნენ დასავლეთისაკენ მატარებლები. ფრონტზე მიჰქონდათ მაუდი, ხაკი. ეს მაუდი მერე ფარაჯებად ეხვეოდა ტანზე ჯარისკაცებს. სითბოს და სიცოცხლეს უნარჩუნებდა მათ.

ბაბულია დააჯილდოვეს მედლით სამამულო ომის პერიოდში მამაცური შრომისათვის. უხაროდა ფეიქარ ქალს. უხაროდათ დაზგებსაც.

მერე ომი დამთავრდა. მეუღლე დაბრუნდა.

დგ-დგ, დგ-დგ, დგ-დგ...—ახლა უფრო ხალისიანად ახმაურდნენ დაზგები.

— ხომ გეუბნებოდით, ბაბულია, დაბრუნდებაო, ხომ გეუბნებოდით!

პატარა მადლენა წამოიზარდა. სკოლაში დადიოდა. ცხოვრება კალაპოტში ჩადგა.

ხუთწლედი დაიწყო. ომით დანგრეულ მეურნეობას აღდგენა უნდოდა.

ახალი გეგმები ახალი ვალდებულებები.

ახლა ოთხ დაზგაზე აღარ მუშაობდა ბაბულია. არ იყო ამის გაჭირვება, მაგრამ ორ დაზგაზე რვა საათში იგი მთელი დღის გასაკეთებელს აკეთებდა.

ამ ამბავს ხალხი ხედავდა და უფასებდა.

დაქროდა დაზგებს შორის ბაბულია. ხან ერთს მიუბრუნდებოდა, ხან მეორეს. მისი მოსვენება არ იყო.

გამოდიოდა და გამოდიოდა დაზგებიდან საკოსტუმე ნაჭრები:

«შტაპელი»,

«რუსთავი»,

«კოლხიდა»,

«ბოსტონი»—

რა გინდა, სულო და გულო!

ვიღას უნდოდა ახლა იმდენი ხაკი, იმდენი მაუდი, წავიდა ის დრო, გაქრა.

მადლენამ საშუალო დაამთავრა. დაქალდა, ლამაზი ქალიშვილი დადგა. ქუჩაში რომ გაივლიდა, ხალხი ჩერდებოდა და უყურებდა.

ერთ მშვენიერ დღეს...

— ქალიშვილი მომტაცეს...—შესჩივლა ბაბულიამ დაზგებს.

დგ-დგ, დგ-დგ, დგ-დგ... ხმაურობდნენ დაზგები.

— კარგი შვილი გაზარდე, ბაბულია, და აბა, რას იზამდნენო.

— ვინ იცის, რა ზნის, რა ხასიათის გამოდგება. ცოტა დაეცადა. თუ მომეწონებოდა, გავატანდი ქალს.

— ნუ გეშინია, ბაბულია. ცუდი ბიჭი რატომ იქნება, ალბათ, შენს გოგოსაც უნდოდა, მაგრამ არ ანებებდი.

— მე მინდოდა ჯერ უმაღლესი დაემთავრებინა...—გამოუტყდა ბაბულია.

— დიდი ნასწავლი არც შენ ხარ, ბაბულია, მაგრამ ხალხი გაფასებს. თუ შრომა უყვარს კაცს თავს გამოიჩენს...

გავიდა ერთი წელი და...

— უკვე ბებია გავხდი!— ახარა დაზგებს ბაბულიამ.

მეორე წელიც გავიდა...

— ახლა ბიჭი შეგვეძინა, კიდევ!

ცოტა ხანი და...

— ტყუილად ვემდუროდი სიძეს. მშრომელია, მუყაითი.

— ხომ გეუბნებოდით, ბაბულია, ხომ გეუბნებოდით!—უხაროდათ დაზგებს.

ზოგჯერ ბაბულია სიმღერის ხასიათზე იყო და გულში ღიღინებდა, ამას იმ წუთში მიხვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდნენ დაზგები და ხმასააყოლებდნენ. რა სიმღერაც არ უნდა წამოეწყო, ყველაფერზე აყვებოდნენ დაზგები.

ან კი როგორ არ უნდა უყვარდეს კაცს ასეთი დაზგები! ყველაფერს გაიგებენ და გითანაგრძნობენ. ნორმა ხომ ცხრა მეტრი იყო, დღის ბოლოს გაზომავდა ბაბულია და ხედავდა 15-20 მეტრი მოუქსოვია, ორმაგად შეუსრულებია გეგმა. მეტი რაღა გინდა!

ხედავდა ამას ხალხი და უფასებდა.

ჰოდა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გამოაქვს დადგენილება;

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის «საბჭოთა საქართველოს» მოწინავე ფეიქარი ბაბულია პეტრეს ასული კოკოლაშვილი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

ეს უკვე აგერ ახლა მოხდა, 1960 წლის 7 მარტს.

ყველა გაახარა ამ ამბავმა.

— მოგილოცავ!—ეუბნება ბაბულიას პარტორგანიზაციის მდივანი გიორგი ტერმაკოზაშვილი.

— გისურვებ წარმატებებს!—ეს საამქროს უფროსი ივანე ერაძეა.

ულოცავენ ფეიქარი ქალები, ულოცავენ ნაცნობ-მეგობრები.

ბაბულია ამაყად მიდის დაზგასთან. გადასწევს სახელურს და...

დგ-დგ, დგ-დგ, დგ-დგ... ახმაურდებიან დაზგები.

ბაბულიამ იცის, რასაც ამბობენ ისინი.

— ჩვენც გილოცავთ, ჩვენც გილოცავთ!...

— გმადლობთ, ჩემო მეგობრებო, გმადლობთ!

— რამდენი გექნება მოქსოვილი ამ ოცდაორი წლის მანძილზე?

— ბევრი, ძალიან ბევრი. თქვენ იანგარიშეთ, დაზგები ამრავლებენ ციფრებს, უმატებენ... ძიგძიგებენ და ბოლოს ჯამი გამოჰყავთ:

— ორასი ათას მეტრამდე იქნება. ეხუმრები შენ? ამდენი ქსოვილი მთელ ქალაქს შემოსავს. თუ სიგრძეზე გაჭიმავ, აქედან შავი ზღვის ნაპირებს მისწვდება.

— ბევრი ყოფილა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს მოვქსოვ!—ამბობს ბაბულია. ქსელს ასწორებს, ყუთში ახალ მაქოს დებს და თითებით ნასკვავს ძაფს.

დგ-დგ, დგ-დგ, დგ-დგ... ხმაურობენ დაზგები. ბაბულიამ იცის, რას ამბობენ დაზგები.

— არ შევრცხვეთ, არ შევრცხვეთ. არ შევრცხვეთ. ახლა შვიდწლედი ვასახელოთ!

საოცარი დაზგებია. ყველაფერს ხვდებიან, ყველაფერი იციან. შფოთავენ, ზორგავენ.

ნელა მიცოცავს ძაფი მავთულის ყუნწში. დგიმები ხტუნავენ. ეშმაკი მაქოები დროს შეარჩევენ და როცა ხლართები მიიწ-მოიწევიან, ელვასავით გასხლტებიან შუაში, თან გაიყოლებენ მისაქსელ ძაფს. მერე მქნევარა სავარცხელი მიაბჯენის ქსელზე. ერთხელ, ორჯერ... უთვალავჯერ და მორჩა—ძვირფასი საკოსტუმე მზად არის!

არ დაგავიწყდეთ, ეს საკოსტუმე ბაბულია კოკოლაშვილის ნახელავია!

**ი. ჸაჩეიშვილი**

# ომგადახდილი



ომის დაწყებიდანვე ქეთევან შენგელია საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. მალე იგი სანიტარულ ბატალიონთან ერთად ბრძოლის ხაზზე აღმოჩნდა.

პირველი საბრძოლო ნათლობა ყირიმში მიიღო.

... საველე ჰოსპიტალში დაჭრილ-დასახიჩრებულთა ახალი ჯგუფი მოიყვანეს. პალატებში ფუსფუსი შეიქნა. დერეფნის მყუდროება გამოაცოცხლა ახალი ქირურგის, მაღალი, სანდომიანი ქალის ნაბიჯებმა. ქეთევანი დააკვირდა საოპერაციოდ გამზადებულებს, მერე ერთერთს საწოლთან ჩამოუჯდა... იგი ტყვედ ჩავარდნილი ოფიცერი იყო. ქეთევანმა პირველი ოპერაცია მას გაუკეთა.

თანდათან იწაფებოდა დოსტაქრის ხელი... ოცდახუთ-ოცდაათ ოპერაციას აკეთებდა დღეში.

გარეთ ისევ მძვინვარებდა ტყვიის ქარიშხალი. ისევ კვნესოდა მიწა.

კვლავ დაჭრილი მეომრების გადარჩენა. უძილო ღამეები. მამაცურად იბრძვიან სანიტრები, მედდები, ექიმები. ახლა ქეთევანს თვითონაც გამოჰყავს დაჭრილები საკაცით, ზურგით, მხარში შედგომით.

... ქეთევანმა სამედიცინო ინსტრუმენტები მიწურში დააწყო, ჩამოჯდა. მოაგონდა საქართველო, ფოთი, სადაც დაიბადა, თბილისი, სადაც ერთადერთი ნუშისთვალა გოგონა — ლილი დასტოვა. ალბათ, ის ჭიშკართან დგას და მეომარი დედის გზას გასცქერის.

...ეს იყო 1943 წლის 8 მარტს. იმ დღეს ლილის დედა სხვა მეომრებთან ერთად დაიმარხა თოვლსა და მიწაში.

რამდენიმე დღის შემდეგ ნახეს ისინი. გადარჩა, კვლავ მწყობრში ჩადგა და ბერლინამდე მისდია მტერს.

სამედიცინო სამსახურის კაპიტანმა ქეთევან შენგელიამ ყირიმის, აღმოსავლეთ პრუსიის, ბალტიისპირეთის სანაპიროების განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის მთავარსარდლობის რამოდენიმე მადლობა დაიმსახურა.

ომის დამთავრების შემდეგ ქეთევანი ფშავში წავიდა, მაღაროსკარში. დღეს მისთვის ძნელი აღარ არის წვიმასა და თოვლში ცხენით თუ ფეხით გაიკვლიოს გზა ავადმყოფამდე. სად არ ნახავთ მას — მაღალმთიან ხევსურეთში თუ უკანაფშავში, ხომში თუ კაწალხევში, ჩარგალში თუ გომეწარში.

მთის ხალხს უყვარს თავისი ექიმი—ეს გულისხმიერი, დარბაისელი და ტკბილმოსაუბრე ქალი, უმწიკვლოდ რომ ემსახურება მათი ჯანმრთელობის საქმეს.

**ი. ქართველიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




გულნარა ბახტაძე

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

ფეხმოკლე ტასომაც კი ნახა ტოლი. დალაქ სოსოს გაჰყვა ცოლად. ტუჩზეხელებაფარებული მეზობლები, თითქოს არ ენახათ სოფლად დიდი ქორწილები, ჩურჩულებდნენ: რაკი ტასო ფონს გავიდა, ნავსი გატყდა, შინაბერებს ეშველებათო.

მართლაც, თითქო ტასო იყო შუაში, აღარავინ დარჩა ცალად. აი ახლაც, იმ თეთრ სახლში, დიდი სიხარული იყო. თებროს ზურა დაქორწინდა და მთელ სოფელს აქ მოეყარა თავი. მხოლოდ ცაგუ აკლდა· თუმცა დღე აქ დაალამა, სამზადისში მიეხმარა ქალებს, მაგრამ, როცა ხალხმა მოსვლა იწყო, წინსაფრად აკეცილი თებროს ძველი კაბა ჩამოიხსნა, სკამზე გადაჰკიდა და ჩუმად გაიპარა.

შინ მისულმა ცაგუმ კარგახანს შეიყოლია თავი საქმით. ნიკას აერია სახლი. თვითონ მოუვლია თავისთავისთვისო—ენიშნა ცაგუს და გული ეტკინა. მერე შენატრა ქმარს, მარტო ქმარს კი არა, მთელ საკაცეთს, რომლებიც ქალის თანატოლად როდი ეძლეოდნენ დარდსა და ვარამს! ქალი ჭირს გაუტყდება, სახლში ჩაჯდება, კაცი შვებას უფრო გარეთ პოულობს. აგერ, ნიკამ—წვეულებაშიც არ მოიშალა სიარული. ცაგუ რახანია სამხიარულოს არ გაჰკარებია. ვენახს თუ აყოლებდა გულს, თავისი მარჯვენით ქალობდა ისევ. კიდევ? კიდევ, გადამთიელი რომ მომკვდარიყო, უპატივცემულოდ არ დასტოვებდა. შავ დღეს აყრიდა ნიკა.

— ვერ გაგიგია? ტირილი კაცის საწამლავია, თუ გინდა დარდი გადაიყარო, სალხინოში უნდა იტრიალო.

იქნება მართალი იყო ნიკა, მაგრამ ეს წამალი ცაგუს არასოდეს უსინჯავს.

ცაგუ სხვენზე ავიდა, იქაც იტრიალა. დაბნელდა და მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა. სახლის მეორე კარს მიაშურა. ოთახის კუთხეში მიდგმულ ტახტზე მიწვა. ძილი უნდოდა. თავს ძალა დაატანა, მაგრამ თვალი ვერ მოხუჭა. მაშინ ხელები თავქვეშ ამოიდო და სარკმელს მიაჩერდა. აქედან მთვარე მოჩანდა. ტატნობზე იყო ასული. მერე, თითქოს იმანაც ქორწილში ყოფნა მოისურვაო, დაბლა ჩამოცურდა, ორ მთას შუა ჩადგა და აქედან უთვალთვალებდა სოფელს. მთვარემ ცაგუც არ დასტოვა უნახავი. თითქო ქალის სევდის მიზეზის ძებნას მოჰყვა, შუქი ოთახზე მოაფრქვია. ოთახში ტახტის გარდა, რკინის საწოლი იდგა. იქვე კიდობანი, მაგიდა, ირგვლივ სკამები, საწოლის ზემოთ სურათი ეკიდა, მის ქვემოთ კი ფერდაკარგული დაირა.

ცაგუ დროდადრო თვალს მოაშორებდა, ყურს მიუგდებდა მეზობლის სახლში ატეხილ გნიასს, საყვედურით შეხედავდა სურათს. მერე თვალს ისევ მთვარეს გაუსწორებდა და ემუსაიფებოდა:—შური არასოდეს გამივლია გულში, ახლა რა მემართება? ზურაბს შვილში არ ვარჩევ, კაბის კალთის ნახევარი ზურაბმა გამიხუნა და... ახლა მისი ბედი მშურს?

ღამე არ იცდიდა, გზას ეშურებოდა, მთვარე მთამ გადაიბირა, გადაექანა და ზურგსუკან ამოეფარა. ძილგამფრთხალ ცაგუს სასთუმალი არ შეუცვლია. უეცრად სარკმელთან კაცის ხმა მოესმა. ცაგუ გამოერკვა, ყური მიუგდო. იცნო მოზაასენი. ნეფეს ქორწილში ღვინის სმა ეკრძალება, მაგრამ ზურაბს ენის ბორძიკზე ემჩნეოდა—დაელია, ჩასციებოდა ქალს:

— თუ გიყვარდი რად მაწვალებდი? რატომ ვერ გათქმევინე?

— სირცხვილი იყო.

— მაშ, ახლა აღარ გცხვენია?

— ქმარი ხარ, რაზე დავმალავ?

ცაგუს სიტყვა-სიტყვით ესმოდა მათი შაირობა, ტახტზე წამოჯდა და სარკმელს ხარბად მიაყურადა. მიწყდა ჩურჩული. ცაგუმ სარკმელი გამოაღო, ეზოში გაიხედა... შორს გასულიყვნენ მოშაირენი. ტარიელის სახლს რომ გაუსწორდნენ, ცაგუს ხელ-ფეხი მოუდუნდა. ზურაბმა მკლავები დაიკარწახა, უკან გადგა და გზაზე დაგდებულ მორს გადააფრინდა. დაუდასტურა ცაგუს გულისთქმამ... ფიქრი აეშალა და თვალწინ ძველი სურათი დაეხატა:

ერთ ზამთარს ტარიელმა ტყიდან უზარმაზარი ცაცხვი ამოიტანა, წიოკობით შეეგებნენ ბავშვები ძია ტარიელს. მისი ლევანი და ზურაბი ასდევნებოდნენ და ერეკებოდნენ ხარებს. კარგახანს უკაკუნა ცაცხვს ტარიელმა, ვიდრე გულდაგულ არ გასხიპა, თავი არ ანება. მის შემდეგ ეგდო მორი გზაზე. ბავშვებმა გრძელი ვირი შეარქვეს და ყირამალას გადადიოდნენ ზედ. ლევანს უყვარდა ამ მორზე თამაში, ბავშვობაში რა გასაკვირია, მაგრამ არც დიდობაში მოიშალა.

— პატარა შოშია კი აღარა ხარ, დედა გენაცვალოს, მამაშენი შენი ტოლი რომ იყო, შენ ჰყავდი. ამოდენა კაცის ხტუნვა ვის გაუგია?— საყვედურობდა შვილს ცაგუ.

— ხელ-ფეხს ვავარჯიშებ, დედაჩემო. ცოლიც რომ შევირთო და ბალღები დამეხვიოს, მაგას მაინც არ მოვიშლი,—სიცილით უპასუხებდა დედას ლევანი. ახლა თითქოს დანაპირები აუსრულა შვილმა, ზურაბის მაგიერ თითქოს ლევანი გადაევლო მორს, წინ ქალი შემოეგება და გაფრინდნენ ორივენი.

ცაგუს გულში ჩრდილი ჩაუდგა. კიდევაც ასე იქნებოდა, რომ... უწლოვანი ხომ არა მყავდა, ვინმე არ ჰყვარებოდა?! ეჭვი მზიაზე ჰქონდა.˙ თითის სიგრძემ ამოიჩემა—ჩემი ცოლიაო. ჭაბუკობაშიც არ დარჩა გულგრილად, ჯარიდან წერილი ისე არ მოვიდოდა, მზია არ მოეკითხა, ცაგუ ლამის გადაჰყვა ჯავრს, როცა მზია გათხოვდა. ძლივს დააჯერეს—ბავშვებს და-ძმური სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთში და სხვა არაფერიო. ვინ იყო ისეთი ქალი სოფელში, რომ ლევანს თუნდაც ერთხელ კარგი წამოცდენოდა მასზე? დაეძებდა შვილის რჩეულს დედა.

უცებ ცაგუს თვალებში სხივი ჩაუდგა, კიდობანთან მიიჭრა, თავი ახადა და ბოხჩა ამოიღო. იატაკზე რკინის სათუთუნემ გაიწკარუნა, შიგ პაპიროსის სიფრიფანა ქაღალდი და თუთუნის ნამცეცები ეყარა. ცაგუმ ბოხჩა გაქექა. ეს ბოხჩა ცაგუსთვის დიდი განძი იყო.

...ერთ დილას ცაგუს კარზე ჯარისკაცი მოადგა. თავი გააცნო—ლევანის ამხანაგი ვარ, იბრაჰიმი მქვიაო. ულიმღამოთ ჰყვებოდა: ერთად ვიბრძოდით, იმ დღესაც ერთად ვიყავით, მაგრამ ბრძოლის დროს დავკარგეთ ერთმანეთი. ცეცხლი შეწყდა, მე ბლინდაჟში დავბრუნდი. იქ ლევანის ზურგჩანთა ვიპოვე. გულმა ვერ მომითმინა და თან წამოვიღეო. როცა ლევანი დაბრუნდება, უთხარით, იბრაჰიმმა მოიტანა-თქო.

ჯარისკაცმა ძალდატანებით გაიღიმა და ლევანისეული ნივთები ცაგუს გადასცა. წასვლა დააპირა, მაგრამ ცაგუმ არ გაუშვა, მეზობლები დაუპატიჟა. საქციელწამხდარი იბრაჰიმი თვალს არ აშორებდა მასპინძელს. მერე გათამამდა, იფიქრა ვერაფერს მიხვდაო. სუფრაზე ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო, ტაშიც შემოჰკრეს, ცეკვაც მოინდომეს.

— დაირა, დაირა,—დაიძახა ერთმა და აჰყვნენ დანარჩენებიც.

ეუბნებოდნენ იბრაჰიმს:

— მაგ ქალს ტოლს ვერავინ დაუდებს დაირის დაკვრაში. დასანახავად ღირდა, შვილს ჩოხაში რომ გამოაწყობდა, წინ გაიგდებდა და დაირით გაჰყვებოდა ცეკვაშიო.

— დაირა, დაირა!—კვლავ გაიძახოდნენ მეზობლები. დავიწყებოდა ყველას, ცაგუ რა ხანია დაირას არ გაჰკარებია. ლევანი რომ გააცილა, მაშინ აახმიანა უკანასკნელად.

ცაგუ დუმდა. ნიკამ დაირა ჩამოხსნა და გაუბედავად ჩაუდო კალთაში. ცაგუს თითქო ტყვია ჩაუგდესო, ემძიმა ბუმბულივით მსუბუქი დაირა. მუდარის თვალი შეავლო იქ მყოფთ, უარის ნიშნად თავი გადაიქნია. მაინც არ ეშვებოდნენ მეზობლები—დაუკარიო. იბრაჰიმი შეშინებული ადევნებდა თვალს ამ სანახაობას. ოღონდ, ოღონდ არ დაუკრას! შეცდა, თავიდან უნდა ეთქვა სათქმელი. ახლა კი... ვაი თუ დაუკრას და იმღეროს ამ ქალმა... ეს კი საკუთარ ცოდვად მიაჩნდა. ცაგუმ თვალი შეავლო დაბნეულ იბრაჰიმს, მზერა სუფრაზე გადაიტანა. მერე დასწვდა დანას და კვლავ იბრაჰიმს შეხედა.

— ვიდრე ლევანი არ დაბრუნდება, დაირას არ ავახმიანებო!—თქვა და დაირას დანა ჩასცა. შემდეგ თითქო აქ არაფერიაო, მეზობლებს შესძახა!

— სარები ჩაყლაპეთ? რამ გაგაშეშათ? სტუმარი არ მომიწყინოთ! —დაირა ჩამოჰკიდა. იბრაჰიმის ბოხჩას სურათებიც დაუმატა და კიდობანში შეინახა.

... ახლა ამ ბოხჩაში რაღაცას დაეძებდა. იპოვა, როგორც იქნა, იპოვა... სამკუთხა წერილი. არ გაუშლია, მისამართს დააკვირდა: თბილისი, გამარჯვების ქუჩა № 52, საბავშვო სახლი. თამარ მშველიძეს.

* * *

ქორწილიდან აშლილი ხალხი სიმღერითა და ღრიანცელით გამოეფინა გარეთ. ნიკამ ერთხელ კიდევ გადაკოცნა თებრო და სახლისაკენ გასწია. ბარბაცით აჰყვა კიბეებს, სიმღერით შეაღო კარი, ოთახში შევიდა, მიგრამ ცაგუ დააკლდა თვალს.

— ცაგუ, სადა ხარ?—იძახდა ეზოში გამოსული ნიკა. სოფელი ააწრიალა, მაგრამ ცოლის კვალს ვერ მიაგნო. ბოლოს სახლში მიბრუნებულმა, მაგიდაზე ქაღალდს მოჰკრა თვალი, ცაგუს წერილი დაეტოვებინა:

«ქალაქში მივდივარ საყიდლებზე, იქნებ ხვალ-ზეგ ვერ მოვიდე და არ შეშინდეო». დამშვიდდა ნიკა.

* * *

ცაგუ პატარა ხელბარგით თბილისის ქუჩებში დააბიჯებდა. გზაჯვარედინზე მილიციელს მოკრა თვალი, ქუჩა გადაჭრა და მასთან მივიდა.

— გამარჯვების ქუჩა საით არის, შვილო?

— აგერ, ტრამვაი, ათ ნომერზე დაჯდები და მეოთხე გაჩერებაზე ჩამოხვალ!—უთხრა მილიციელმა.

ცაგუ ტრამვაიმ ორსართულიან სახლთან ჩამოსვა. ბავშვების ჟრიამულზე მიხვდა, აქ უნდა ყოფილიყო საბავშვო სახლი, ეზოში შევიდა. ფეხებში ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნა გაებლანდა.

— გმირი ხართ? ვისი დედა ხართ?—შეეკითხა ბავშვი და მკერდზე ანიშნა. ცაგუს გაეღიმა.

— თამარ მშველიძე მინდა, იცნობ?

— როგორ არა.

ბავშვი დაწინაურდა. ხტუნვით აჰყვა კიბეებს. კარებში ჭაღარა, სანდომიანი სახის ქალი გამოეგება.

— თამარ მასწავლებელო, სტუმარი მოგივიდათ,—სხაპასხუპით მიაყარა ბავშმა და გარეთ გავარდა.

— მობრძანდით,—შეიპატიჟა ქალმა სტუმარი.

ეტყობა ბავშვს რაღაც შეეშალა...

— მე თამარ მშველიძე მინდა...

— მე ვარ, გეთაყვა, თამარ მშველიძე.

— თქვენ?

— ჰო, მე, არ გჯერათ?

— თქვენ როგორ იქნებით? ის ახალგაზრდაა, ჩემი ბიჭის საცოლეა,—გაუწყრა ცაგუ ქალს და წერილი გაუწოდა. მასწავლებელმა სათვალე მოიმარჯვა.

— ეს ჩემი შვილის წერილია, ეს ქალი ჰყვარებია, ალბათ, ისიც არ იყო უარზე.—შეაშველა ცაგუმ.

არაფერი ესმოდა თამარს მისი. წერილს კითხულობდა:

«... თამარ, ჩემო თამარ! მივიღე შენი წერილი და გავიხარე. სურათში ლამაზი ხარ. ნეტავი, როდის იქნება ამათ რომ ბოლოს მოვუღებთ? მაშინ ხომ ჩამოვალ და დაგიკოცნი თვალებს. ნეტავ იცოდე, როგორ...»

აქ წყდებოდა წერილი. ესეც კმაროდა. ყველაფერს მიხვდა და მოსულს ხელი მხარზე გადახვია.

— რა ისმის თქვენი შვილის?

— არაფერი. დაკარგულია...

— დაბრძანდით, ახლავე გიამბობთ ყველაფერს,—დაუყვავა თამარმა. თვითონაც დაჯდა და განაგრძო,—მეც დედა ვარ, ჩემი შვილიც იყო ფრონტზე. იქედან მწერდა: დედი, შენ არ იცი, რა არის ჯარისკაცისთვის სახლიდან მოსული ამბავი. შენი წერილის მოსვლა, მე კი არა, მთელ ბატალიონს უხარია. ზოგჯერ უცნობი ქალიშვილებიც გზავნიან წერილებს, ნეტავ შეგახედა, რა ყოფაში არიან მაშინ ბიჭები,—მწერდა ჩემი შვილი. შვილის წერილმა ერთი აზრი დამიბადა. მივწერე,



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცოლო ამხანაგების მისამართები გამოეგზავნა. შვიდი ამხანაგის გვარი და სახელი მომწერა. იმ დღიდან საქმე გამიჩნდა. დავუძახებდი მეზობლის გოგოებს, გულთბილ წერილებს ვაწერინებდი. სურათებსაც ვუგზავნიდი. მაგონდება, ლევანს ჩემი ქალიშვილის სურათი გავუგზავნე. ამით კარგ საქმეს ვაკეთებდი, ბიჭებს ვახარებდი, ვახალისებდი...

დანაღვლიანდა ცაგუ, რა სიხარულით მოფრინავდა ქალაქში და ისევ გულცარიელი უნდა დაბრუნებულიყო. ეს დედაბერი კი... რას ბოდავდა? თუმცა რას ერჩოდა, მისი რა ბრალი იყო!

— სოფელში ქორწილებია, დღე არ გავა, ვინმე არ გაბედნიერდეს. ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ, მე?!—ამბობდა ცაგუ და ცრემლებს ხელისგულით იწმენდდა.

* * *

საბავშვო სახლში დიდი მზადება ჰქონდათ პატარებს. საღამოს კოჯრიდან ჩამოსული სტუმრები და მასპინძლები ცეკვა-თამაშში და სიმღერაში უნდა გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თამარმა ცაგუ არ გაუშვა, ცაგუ რატომღაც არ გაუძალიანდა და დაყაბულდა.

დადგა საღამო. ჯერ სტუმარი გამოდიოდა, იტყოდა ლექსს, იმღერებდა, იცეკვებდა. მერე მასპინძელი იგივეს გაიმეორებდა და გამარჯვებული ჯილდოს იმსახურებდა. ცაგუმ ბავშვებში ის ბიჭუნა იცნო, გზა რომ მოასწავლა. ბავშვმა ლექსი დაამთავრა და ტაშის ტყაპატყუპში ცაგუს ფეხებთან მოიკალათა. ცაგუ მოეფერა. ბიჭუნასთან თეთრბაბთიანი გოგონა გაჩნდა, რაღაც ჩასჩურჩულა. ბავშვი მკვირცხლად წამოხტა და ორთავე სირბილით სადღაც გაქრნენ.

დამთავრდა ლექსებში გაჯიბრება. სიმღერებიც დასრულდა. ცეკვები გამოაცხადეს. ცაგუ დოლის ხმამ შეაკრთო, გული გადაუქანდა, წრეში თეთრჩოხიანი შემოვარდა, ისევ ის ბიჭუნა იყო.

— ასე!—იძახდა ცერებზე შემდგარი.

— ვისია ეს ბალღი?—მიუბრუნდა ცაგუ თამარს.

— ჩვენი გაზრდილია. ომარ ჩხეიძე. სახელი და გვარიც ჩვენი შერქმეულია. ჩვილი მომიყვანეს, დედმამა ფრონტზე მოუკლეს.



«ლევანის ცალია, ჩემი პატარა ჩიორასი. შეძახილიც იმას მიუგავდა. ჩემს ჩიორასაც ღიმილის დროს ასეთი ღრმულები უჩნდებოდა ლოყაზე», მიამგვანა შვილს ცაგუმ.

ცაგუს დასცხა და ღილი შეიხსნა...

... რარიგ გაიხარებდა ნიკა! რამდენჯერ უთქვამს, ის ბიჭი ჯერ არ ჩანს და...—მაგრამ ცაგუ არ თანხმდებოდა,—ლევანის მაგიერს შინ როგორ გავაჭაჭანებო.

ომარმა წრეში ჩაიმუხლა და ქუდი მოიშვლიპა. იგრიალა ტაშმა, ბავშვი ისევ ცაგუსთან მივიდა, ცაგუმ კალთაში ჩაისვა.

— ხედავთ, როგორ გეტმასნება! აგვიკლებს ხვალ, გმირს კალთაში ვუჯექიო,—ღიმილით უთხრა თამარმა ცაგუს.

ბავშვმა ცაგუს ორდენზე წაავლო ხელი.

— ვისი მშობელი ხართ?

— ვისი? ვისი და შენი. ხომ გპირდებოდა დეიდა თამარი, ჩამოვლენ შენი მშობლებიო. გინდა, წამოდი სოფელში!—წამოცდა ცაგუს. ბავშვმა თავი ასწია, თითქო ნებართვას თამარისგან ითხოვსო, კრძალვით შეხედა.

— გინდა?—შეეკითხა გაღიმებული თამარი.

— მინდა!—შესძახა ბავშვმა.

ცაგუმ ომარის თავი მკერდში ჩაიმალა.

* * *

ნიკა სადგურში ელოდა მანქანას.

ცაგუს დასახვედრად თებროც მოსულიყო.

ცაგუზე ადრე მანქანიდან ომარი გადმოხტა.

— შიშით გადამელია გული, სად დაიკარგე!—საყვედურობდა თებრო ცაგუს.

— ვისია დედაკაცო, ეს ბიჭი?

— შენი. შენი შვილიშვილია. ჩვენი ლევანის ბიჭი.

— ჩემი?!—აღმოხდა ნიკას და ბავშვი დაკოცნა.

— რა გქვია ბიჭო?

— ომარი,—სხარტად მიუგო ბიჭუნამ, მაგრამ ცაგუს შეხედა და გადათქვა.—არა, მე ნიკა მქვია.

— გაიგეთ! ცაგუს ქალაქში ლევანის შვილი უპოვნია და ჩამოუყვანიაო,—დაირხა ხმა და ომარის სანახავად მთელი სოფელი გამორბოდა.

— რატომ ლევანი არ დაარქვი?—შეეკითხა ცაგუს ქმარი.

— ლევანი რატომ? შვილისშვილს პაპას სახელს არქმევენ.

ნიკამ გაჩუმება ამჯობინა.

* * *

იმ ღამით თებროსთან ლხინი ისევ გრძელდებოდა. მეზობელმა, ცაგუ რომ სხვა ხასიათზე იგულა, მიიპატიჟა. ცაგუმ არც ხო უთხრა, არც არა. დობილმა ყოყმანი თანხმობად მიიღო. ცაგუ კი მაინც არ ჩანდა. მაგრამ აი, გარედან დაირის ხმა შემოესმათ სტუმრებს. ტასო შემოვარდა მახარობლად—ცაგუ მოდისო, და ყველანი წამოიშალნენ.

კარებში ცაგუ გამოჩნდა. ხელში დაირა ეჭირა. დაირას შუაგულში შავად აჩნდა ზედ დაკრული ტყავის ნაჭერი. პირმღიმარი ცაგუ დაირას აგრიალებდა, გზას ცეკვით პატარა ნიკა უკაფავდა. როგორც დიდიხნის უნახავს, ისე შეეგება ხალხი ცაგუს.

— ტაში, ტაში!—ხელისგულებს იტკიცავდნენ მეზობლები. ცერებზე შემდგარი პატარა ნიკა «ჰაიტ!»-ის ძახილით მიარღვევდა ხალხს.

პირმღიმარი ცაგუ თვალს არ აშორებდა პატარა მოცეკვავეს და დაირას ახმიანებდა. მაგრამ ნაიარევი დაირა კვლავინდებურად არ ხმიანობდა. არც ეს ბიჭუნა იყო ლევანის შვილი, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია.

— ზედგამოჭრილი ლევანიაო,—იძახდა ყველა.

ქმარი დაეკარგა თვალიდან ცაგუს, ეძება ხალხში და ძლივს იპოვნა. კარებთან ატუზულიყო, ნაღვლიანი და წარბშეკრული. რა დაემართა?

რახანია ცაგუ ასე გულმხიარული არ ენახა ნიკას, ამას ნატრობდა და ახლა?

ცაგუმ თვალი თვალში გაუყარა ქმარს, ძველებურად გაუღიმა, პატარა ნიკაზე ანიშნა, ანიშნა ისე, როგორც მაშინ, როცა ლევანი ცეკვავდა ხოლმე.

# ხელმარჯვენი

გარეთ ცივი, სუსხიანი ქარი თარეშობდა, თოვლის ფანტელებს ბოლქვებად ატრიალებდა, გამვლელები გულდაგულ იფუთნებოდნენ და აბეზარ ქარს ზურგს აქცევდნენ.

ოთახში კი ბუხარი გიზგიზებდა. სითბო და მყუდროება გულახდილი საუბრის განწყობას ქმნიდა.

საუბარი მაინც ვერ ხერხდებოდა. მგონი საათზე მეტხანს ვისხედით და დოდოზე მხოლოდ ისევ ის ვიცოდი, რაც კოლმეურნეობის გამგეობაში მითხრეს.

დოდომ კარგი შრომა იცოდა, ამ შრომაზე ლაპარაკი კი არ შეეძლო, ქალიშვილობაში ახლადფეხშედგმული გოგონებისათვის დამახასიათებელი მოკრძალება ამუნჯებდა.

კარგად შევამჩნიე, სანამ ვსაუბრობდით, ქათქათა ცხვირსახოცი, რომელსაც დოდო აწვალებდა, საცოდავად დაჭმუჭნულიყო. რაც ხანი გადიოდა, ქალიშვილი უფრო მეტად აწვალებდა ცხვირსახოცს, თითქოს მისთვის უნდა გამოეგლიჯა ის მრავალსიტყვაობა, რომელიც ასე აკლდა ჩვენს საუბარს.

დროდადრო ფანჯარაში ვიცქირებოდი. გარეთ ისევ მძლავრობდა ქარი, იცის ხოლმე წილკანის ველზე ასეთი უჟმური ამინდი. ერთი თუ წამოუბერა, მერე მთელი დღე, ზოგჯერ ორიც, განუწყვეტლივ დაზუზუნებს ველზე.

ფანჯრის წინ ტანშემოძარცული ხეები იდგნენ. ასე მეგონა, ისინიც ცახცახებდნენ სიცივისაგან და თავს არიდებდნენ ქარის შემობერვას.

თვალში მეცა, როგორი შეშფოთებით შეხედა საათს დოდომ.

— რაო, ბარგი-ბარხანა ავიკრიფო? სინდისიც კარგი საქონელია !..

აქ კი უცბად ალაპარაკდა დოდო:

— ძროხების მოწველის დროა... შემიწუხდებიან... ძალიან გთხოვთ, მაპატიეთ...

დოდომ ჩაიცვა. როცა პალტოს ღილებს იკრავდა, ძალაუნებურად მივაქციე ყურადღება მის ხელებს.

თვითონ დოდო პატარა, გამხდარი ქალია, ხელები კი ძლიერი, მარჯვე ჰქონია.

ძროხების მოსაწველად ერთად წავედით. სახლიდან გამოსვლისთანავე დაგვეტაკა ქარი და სახეზე თოვლი შემოგვაყარა, საძროხე არც ისე შორს იყო და შენობაში შესულებმა, სასიამოვნო სითბო ვიგრძენით.

ძროხები უკვე მოელოდნენ თავიანთ მომვლელს. ისინი ბღავილით შეეგებნენ დოდოს, ზოგმა ხელებიც კი აულოკა. ქალიშვილმა ყველას მიუალერსა.

— ცხოველებს ძალიან უყვართ ალერსი,— თითქოს მოიბოდიშა დოდომ.

ვიღაცამ მიამბო: ერთხელ დოდო მცხეთაში გამოუძახნია რაიკომს და ძროხების მოვლა მის მეგობარს უკისრია.

დოდოს მეგობარს შემთხვევით ხელი გაუკრავს ერთ-ერთი ძროხისათვის და ძროხას რძე არ მიუცია. რა არ იღონა იმ გოგონამ, მაგრამ ვერაფერს გახდა. მარილით სცადა ძროხის შერიგება, ყურის ძირშიც მოფხანა, პირუტყვი მაინც ირქინებოდა.

ასე მოუწველავი დარჩა ის ძროხა დოდოს ჩამოსვლამდე. სამაგიეროდ, როცა დოდო მიუჯდა ძროხას მოსაწველად, პირუტყვმა პირისახე და ხელები აულოკა მომვლელს.

დოდომ გულმოდგინედ დაიბანა ხელები, სუფთა სარძევე აიღო და ძროხასთან მივიდა.

ქალიშვილი ოსტატურად ირჯებოდა. სასიამოვნო იყო მისი ხელების ცქერა.

წველა დაამთავრა. დოდომ ძროხებს საკვები ჩამოურიგა. სილოსმა ზაფხულის სურნელებით აავსო იქაურობა. ძროხები ხარბად მიეტანენ საჭმელს.

ადვილი როდია მუშაობა. ამ ათი ძროხის დასაპურებლად ათ ფუთზე მეტი თივის, სილოსის, კონცენტრატებისა და სხვა საკვების გადატანა უხდება ხელით.

ფერმა ჯერჯერობით მექანიზებული არ არის. ერთი-ორი წლის შემდეგ ყველაფერი სულ სხვანაირად იქნება და მუშაობაც გაადვილდება. იმისათვის კი, რომ ხვალ უფრო გაუადვილდეს მუშაობა, დღესაც, ამ პირობებშიც, საუკეთესო შრომაა საჭირო. კოლმეურნეობამ მოიმაგრა ფეხი, მაგრამ ყველაფერს ერთად მაინც ვერ გასწვდება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ხომ არც ეს საძროხე იყო. ახლანდელი ჯიშიანი ძროხების ნაცვლად გაძვალტყავებული ძროხები ეკვროდნენ ერთმანეთს ფარღალალა ბოსელში. ეს იყო 1953 წელს. მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში დარბოდა დოდო ქიტუაშვილი, ფერმაში კი დედამისი მუშაობდა.

დოდოს ძროხებს წუნი არ დაედებათ. თვითეული მათგანი ტონანახევარ რძეს იწველის წელიწადში. ძროხები კი არა, რძის ქარხანა აქვს დოდოსო, ხუმრობენ ფერმაში. კარგად მუშაობდნენ წილკნის კოლმეურნეობაში დოდოს დედა და და, მან კი ორივეს აჯობა.

დოდომ შარშან თვითეული ძროხიდან 5 ათას 717 კილოგრამი რძე ჩამოწველა და რესპუბლიკის საუკეთესო მწველავის სახელი დაიმკვიდრა, წელს ორი თვის მანძილზე კი 963 კილოგრამი რძე მიიღო.

საქართველოს კომკავშირის 23-ე ყრილობაზე დოდო ქიტუაშვილმა განაცხადა, რომ წელს თვითეულ ძროხაზე 6 ათას ლიტრ რძეს მიიღებს.

ისე კი დოდო სიტყვაძუნწია. საკოლმეურნეო ფერმის გამგემ ალექსი ლაშაურმა, სიტყვამოსწრებულმა და ენერგიულმა ვაჟკაცმა, გვიამბო, თუ როგორ დაიფრინა ამასწინათ ამ მორცხვმა ქალიშვილმა იგი.

— ვტყუოდი და იმიტომაო,—ამბობს ალექსი.

ეს კი ასე მომხდარა: დოდომ ვალდებულება იკისრა რაიონში არამარტო ყველაზე მეტი, არამედ ყველაზე იაფი რძე მიეღო და შეჯიბრებაში გამოიწვია მცხეთის რაიონის ყველა მწველავი. ქალიშვილის წამოწყება სახუმარო საქმე როდი იყო.

რძის ღირებულება პირველ რიგში დამოკიდებულია იმაზე, რით იკვებება ძროხა. და აი, სწორედ მაშინ იყო რომ ლაშაურს შეეჯახა.

— მარტო კონცენტრატებს რად მიგზავნიო?

— ღმერთმა დაგიფაროს, თუ რამე არ შეუსრულე,—ენაკვიმატობს ლაშაური.

ცნობილი რიაზანელი მწველავი პრასკოვია კოვროვა 8 ტონა რძეს ღებულობსო თვითეულ ძროხაზე, გაიგო დოდომ.

მეც 8 ათასი კილოგრამი რძე უნდა ჩამოვწველო თვითეული ძროხიდან,—ოცნებად ექცა დოდოს და გადასწყვიტა გასცნობოდა რიაზანელი მწველავის გამოცდილებას.

დიდიხნის ფიქრის შემდეგ მოეთათბირა პარტიის რაიკომის მდივანს ზაქარია მირზიაშვილს. სწორედ მან გააბედინა მორცხვ გოგონას კოვროვასათვის წერილის მიწერა.

რამდენჯერმე შეადგინა წერილი, რამდენჯერმე გადაწერა...

... ბოლოს გაიგზავნა წერილი რიაზანში.

პრასკოვია კოვროვა, ალბათ, გამოეხმაურება ქართველ მწველავს. ვინ იცის, იქნებ დოდომ გაუსწროს კიდეც მას. იგი ჯერ ხომ 21 წლისაა.

**ე. დომორაცკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სალამი, ჩემო პატარებო!

ყოველ წელიწადს იწყებდა ასე: სალამი, ჩემო პატარებო! და ყოველთვის აგონდებოდა: მკაცრი მასწავლებელი, გიმნაზიაში რომ ნახა პირველ დღეს.

მერე თვალს მოავლებდა ყველას—ბარტყებივით რომ შესცქეროდნენ—მათთან ერთად ივლის მთელი ცხოვრება, მოამაგრებს, დაავაჟკაცებს, გაუშვებს, გული კი დაიტოვებს მათ ხსოვნას, მათზე ფიქრს და მონატრებას, მათთან შეხვედრის სურვილს. გული ვერ გაუშვებს ვერცერთს.

ყოველ წელიწადს იწყებდა ასე: სათითაოდ ჩამოუვლიდა ყველას, მიუჩენდა ადგილს, მერე გაიცნობდა თვითეულს, აამბობინებდა, თავისას ეტყოდა.

უკითხავდა, აზეპირებინებდა, ახატვინებდა...

ყოველ დილას ამბობდა: სალამი, ჩემო პატარებო! და თანდათან შეაპარებდა: ახლა თქვენ გაიცნობთ წინადადებას—«ბიჭი მირბის». «ბიჭი»—სიტყვაა, «მირბის»—კიდევ სიტყვა. აბა, გაიხსენეთ წინადადება რომელიმე ზღაპრიდან. რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? დაასახელეთ პირველი, მეორე. სიტყვები მარცვლებისაგან შედგება. სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენჯერაც დაგჭირდებათ ჰაერის ამოსუნთქვა მის წარმოსათქმელად. აბა, დავითვალოთ!

ასე იყო, სანამ დააწყებინებდა ანბანს.

მერე წიგნს გადაშლიდა:

დედაენა.

პირველი ნაწილი.

ანბანი შედგენილია იაკობ გოგებაშვილის მიერ.

აქ მოგონებებს გაჰყვებოდა ნინო:

იაკობი დიდი პედაგოგი იყო, უბრალო, დარბაისელი, ქართული დედაენა მან შეადგინა. ხალხის განათლებაზე ფიქრობდა და ბევრსაც აკეთებდა. ნინო პირადად იცნობდა იაკობს. იგი მისი მეუღლის, ლუარსაბ ბოცვაძის დიდი მეგობარი იყო.

მერე ახალ გვერდს გადაშლიდა მასწავლებელი.

აი, აი ია.

გაზაფხულის ეს მახარობელი ახარებდა მათ წერა-კითხვის დაწყებას. პატარა თითები გაჰყვებოდა თეთრ გვერდს—აი ია.

ბავშვები წიგნს აღარ ხურავდნენ, ახალ გვერდს ელოდნენ, ნინო კი აფრთხილებდა: ჯერ არა!

მერე ამას მოჰყვებოდა:

თითი, თათი.

ბავშვები ითვისებდნენ სწრაფად, საფუძვლიანად. გოგებაშვილის ანბანი მათ ადვილად ასწავლიდა წერა-კითხვას, უვითარებდა მეტყველებას, ლოგიკურ აზროვნებას, სწორ კალიგრაფიას. ამიტომ იყო, რომ შემდგომში ნინო ბოცვაძემ თავის დასთან—ეკატერინე ბურჯანაძესთან ერთად გოგებაშვილის «დედაენის» მიხედვით შეადგინა პირველი კლასის მშობლიური ენის სახელმძღვანელო.

თამაშობაში ნინო მასწავლებელი ბავშვების ამყოლი იყო. «ლახტი» და «კოჭობანა» ყველას არ გამოადგებოდა. ზოგს «ქორობანა» ასწავლა, ზოგს «ვისი ყმა ხარ.» მერე ხეზე ცოცვას მიაჩვია. ჩემს ბავშვობაში ასე დავეძებდით აბედს (ხის სოკოა). ბავშვებმა იცოდნენ, რა იყო აბედი და რისთვის იყენებდნენ გლეხები.

არც კალო უკვირდათ, არც ყანის მკა. ბავშვობაში ასე ვაგროვებდით ხელეურებს და პატარებიც აგროვებდნენ მასწავლებელივით.

ილია და აკაკი, ვაჟა და ევდოშვილი მათ წიგნებიდან როდი გაიცნეს. ნინო ბავშვობიდან მათთან ტრიალებდა და მის მოწაფეებსაც ასე ეგონათ, მასწავლებელთან ერთად ნახეს ისინი მაშინ. ილია და აკაკი იცნობდნენ ნინოს მამას, იოსებს, რომელსაც მრავალი ლექსი და თარგმანი ჰქონდა, საგურამო ახლოს იყო ბიწმენდთან და ნინოს ხშირად უნახავს გზად ეტლით მიმავალი ილია—გაზეთი მუხლზე გაეშალა პენსნე ცხვირზე ჩამოცურებოდა და გაიცქირებოდა შორს...

აკაკიმ პატარა ნინოს ნახვისას მამამისს ხუმრობით უთხრა: შენი თარგმანები ბევრი ვიცი, მაგრამ შენი «ორიგინალი» ახლა ვნახეო.

ვაჟა ხშირად მოსულა ვერაზე, ორსართულიან სახლში. აქ ლუარსაბი, ჟურნალ «განათლების» დამაარსებელი და რედაქტორი, მასალებს კრებდა თავის ბინაზე. ნინო მასთან ერთად იჯდა და კითხულობდა. კარებში შემოსულა ვაჟა ხურჯინით—ახალი ლექსებით. ჟურნალი ლუარსაბის ჯიბით ცოცხლობდა და ჰონორარი ვაჟასთვის და ევდოშვილისთვის ჰქონდათ მხოლოდ. ერთს ნავთის ფული ენატრებოდა, მეორეს ავადმყოფობა აღრჩობდა.

პატარები ყოველთვის პატარებად როდი რჩებოდნენ, იზრდებოდნენ და ნინო მაინც ძველებურად ესალმებოდა, გადადიოდნენ კლასიდან კლასში და მაინც ეგონათ, რომ ნინო მასწავლებელს მხოლოდ ისინი ჰყავდა. არა და ეათზე წინ რამდენი გაუშვა, რამდენზე უფიქრია და კიდევ რამდენს ელოდა. რატომღაც ყველას ეგონა, მხოლოდ მე ვყევარო ერთი...

ეს მიტომ, რომ დეიდა ნინომ ამ ერთის ყოველი ნაბიჯი იცოდა.

აი, დაასრულეს სკოლა, ნინო მათ გზას ულოცავს. ზოგს შორსაც ისტუმრებს დარიგებით: თვითონაც ახალგაზრდა წავიდა პეტერბურგს, სამედიცინო ინსტიტუტში. მაშინ სულ სხვა დრო იყო,—არეული წლები, რევოლუციური გამოსვლები, ინსტიტუტის დახურვა და კვლავ საქართველო. მეორედ სცადა ბედი, ვენაში წავიდა, შემდეგ ციურიხში გადავიდა, უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ძნელი იყო ის წლები, მარტო იყო ქართველი ქალიშვილი უცხოეთში.

შრომის პირველი დღეებიც არ არის ადვილი, იცის ნინომ და ამიტომ ამხნევებს თავის მოწაფეს.

— შენზე პატარა ვიყავი, ჯერ კიდევ გიმნაზიელი, მარიამ დემურიამ ნაძალადევის საკვირაო სკოლაში მუშაობა რომ შემომთავაზა. ჩემი პირველი აღსაზრდელები მუშები იყვნენ. უსასყიდლოდ ვასწავლიდი წერა-კითხვას.

არც «ავჭალის აუდიტორია» დარჩენილა მის გარეშე. აქ მუშებისათვის ტარდებოდა სალამოები, მოხსენებები.

მერე მარიამმა უფრო მეტიც მოსთხოვა. თავისთან დაიბარა ბინაზე და წინადადება მისცა ეფიქრა საბავშვო ჟურნალის შინაარსზე.

ამასვე ფიქრობდნენ მისი და ეკატერინე, ნიკო ლომოურის ქალიშვილები—თამარი და ნინო. მერე ისინი ყველანი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები იყვნენ, ჟურნალს კი «ნაკადული» დაარქვეს.

ნინო საზღვარგარეთიდან რომ დაბრუნდა, ანასტასია თუმანიშვილმა მის მიერ ღარიბი ქალებისათვის დაარსებულ სკოლაში მიიწვია სამუშაოდ.

შრომა ადვილი როდია. ნინომ იგი ახალგაზრდობაში დაიწყო და დროც სხვა იყო მაშინ.

ისიც ახსოვს ნინოს—ბევრი ნამოწაფარი გულით განდობია, რჩევა უკითხავს, მაშინ შეშფოთებულა და მეტისმეტად გულახდილიც ყოფილა მათთან.

— სიყვარულია? მე სამი წელი მიყვარდა ლუარსაბი და მერე დავქორწინდით. პირველი ნახვისთანავე ვიგრძენი, რომ ეს კაცი ახლობელი იყო ჩემთვის. მეორედ რომ ვნახე, ნიკო ლორთქიფანიძეს ელაპარაკებოდა. ნიკოს ვენაში დავუახლოვდი და ლუარსაბი მან გამაცნო. მერე

ვაჟთა გიმნაზიაში დავიწყე მასწავლებლობა და ლუარსაბი იქ დამიხვდა.

ბედნიერი ვიყავი მხოლოდ 7 წელი, მერე დავკარგე ლუარსაბი...

არც დედობა იყო ადვილი. ორი მცირეწლოვანი ვაჟი აღსაზრდელი დარჩა. და ნინო კი არ დადიოდა, დარბოდა—სახლიდან სკოლაში, სკოლიდან სახლში, მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა სასწავლებლად. უმაღლესი ასე დაამთავრა. შინ კი ორი პატარა ბიჭი დედის მოლოდინში არ იძინებდა. მერე ჩაეძინებოდათ და სტუდენტ დედას მაგიდაზე ხვდებოდა მათი წერილი:

«ჩვენო დედიკო,
გელოდეთ და მერე დავიძინეთ.
რომ მოხვალ გვაკოცე და გაგვაღვიძე.
სოსო, ვახტანგი.»

ახლა ერთი—ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შრომობს, მეორე—მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატისა. ორივეს ჰყავთ შვილები და უფროსს, სოსოს—შვილიშვილიც.

ახლა ხან ერთი შემოიპარება, ხან მეორე, ხან მეზობლის პატარა ბიჭი.

— ბებია ნინო, გვითხარი ზღაპარი,—და ყურს დაცქვეტენ.

მათ უხარიათ, რომ ბებია ნინო შინ არის. ეს ერთი თვეა პენსიაზე გავიდა და სკოლაში აღარ დადის, უფრო მეტი დრო აქვს.

მისი მუშაობა კი გრძელდება—თავისი მდიდარი, ხანგრძლივი გამოცდილება გადააქვს ქაღალდზე, მუშაობს მშობლიური ენის მეთოდიკის საკითხებზე, მალე გამოუშვებს წიგნს «ჩემი ცხოვრების გზა.»

სკოლის გარეშე მაინც მოწყენილია, წუხს რომ თვალებმა უღალატეს, თორემ 75 წელი ხელს არ უშლიდა. ღამე გვიან წვება და ძილის წინ ქმრის სურათს ახედავს, მთელი დღის შესახებ ჩუმად მოუყვება.

მისი სახლი ვერაზეა, პატარა, ორსართულიანი სახლი. აქ იკრიბებოდნენ საქართველოს ბედით დაინტერესებული ქართველები. აქ წყდებოდა განათლების საკითხები.

ეზოს მხარეს აივანზე ხშირად ისხდნენ დ. თურდოსპირელი, იპ. ვართაგავა, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე... აქ უყვარდა მეზობელი ქუჩიდან შემოხვევა შიო მღვიმელს.

ზოგი მათგანი აღარ არის, მაგრამ ნივთები მათზე მოაგონებენ. ნინოს უყვარს ამ ნივთების თვალიერება.

აი, მაგიდა. დიდი ხნისაა იგი. შინაარსიანი და ისტორიული წარსული აქვს. ამ მაგიდაზე კითხულობდნენ ლუარსაბი და ნინო ჟურნალის მასალებს, აქ სწორდებოდა იაკობის სახელმძღვანელოები.

აი, სურათები, რომლებიც ლუარსაბის კაბინეტის განუყრელი მეგობრები იყვნენ. შუაში შოთაა, მარცხნივ და მარჯვნივ ილია, აკაკი, ვაჟა.

ეს ამოქარგული ბალიშები ძველია. აქ საპატიო სტუმრებს სვამდა დიასახლისი.

ნივთებს შემოუნახავთ მათი მახსოვრობა.

ამიტომ უყვარს თავის ოთახში ჯდომა. ხშირად კითხვაში დაადამდება კიდეც, ზის და შუქს არ ანთებს, სიბნელეში ადვილად ცოცხლდება წარსული... და ასეა მანამ, სანამ შვილიშვილი არ შემოიჭრება და ტახტზე რომ დიდი ბურთია, იმას არ მოითხოვს, ან სტუმრის მოსვლას არ გაიგონებს. მაშინ წამოდგება, გამართული გავა მეორე ოთახში და ნამოწაფარს რომ დაინახავს, ისე შეხვდება, როგორც ყოველდღე 53 წლის მანძილზე.

**ლია კაკაბაძე**

ფოტულა იანაკოპულუ

# ჩემო ელადა!.

ჩემო ელადა, შენ ჩემო მხარე,
სამშობლო ჩემო, შენთვის დავდნები!
ცხარე ცრემლები ბარემ იკმარე
და სისხლის დენა გეყოფა ამდენი.
დე, ყველას გული აივსოს ლხენით
და გაზაფხული ფენდეს სინათლეს.
შენ შავი ფერი, არა, არ გშვენის,
წითელი ფერით უნდა ბრწყინავდე.

ჩემო ელადა! ჩემო ელადა!
ჭაღარა დედავ, დაუვიწყარო,
შენს სიყვარულში მუდამ ვღელავ და
მინდა იდიდო, სულ გაიხარო.
ხანაც იმედით, ხანაც დარდითა,
მე შენზე ვფიქრობ დღისით და ღამით.
შენი წარსული ხალხმა ადიდა,
წინა გაქვს კიდევ სხვა მომავალი.

# დედა

რა ძალა აქვს ამ ოთხ ასოს
აჟღერებულ ხმოვან ბგერებს,
ეს დედა ხარ, შენ ძვირფასო!
შენ მალხენ და შენ მამღერებ.
მკითხავ? როგორ გიპასუხო,
როს გიცქერი რას განვიცდი.
დედა შენ ხარ ეს საწუთრო
და სიცოცხლის დასაწყისი.
მე ეს სიტყვა ვერ ავხსენი,
ლექსში ვერ შევაფარე,
თუმც ჭაღარა დედაჩემი
ყველა დედას შევადარე.
სიტყვა დედა არასოდეს
გვისწავლია სხვისგან თქმული.
სულ პირველად გვითქვამს, ოდეს
არც ვიყავით ფეხადგმული.
მერე გაგვყვა მხსნელად ყველას,
ეს სახელი საყვარელი.
თუ ხიფათი შეგვემთხვევა,
ან როს გული ლაღად მღერის,
გვითქვამს ჭირში ჩავარდნილებს,
ქალიშვილებს და ვაჟკაცებს,
ის გვამხნევებს, განგვადიდებს,
გვამაღლებს და გაგვავაქებს.
მოხუცი თუ ჭაბუკები
მშობელ დედას ეძახიან.
ის გვახარებს ერთი ასად,
ის სიცოცხლის ვენახია.
საყვარელი ერთი სიტყვა
ყველასათვის ძვირფასია.
დედა არის ვინც გაგვზარდა,
მზის შვილებად ვინც გვაქცია.
ყველა ერის, ყველა ენის
პატრონი და შემნახველი.
ფრანგია თუ პოლონელი,
ქართველი თუ გერმანელი.
ყველგან დედას აფასებენ,
ყველგან ტკბილად იგონებენ.
ასე უყვართ აფრიკელებს,
ჩინელებს თუ ინდოელებს.
პოეტი არ დარჩენილა,
და ვერ ახსნეს მისი ძალა,
თუმცა ქვეყნის გაჩენიდან
სიტყვა — დედა ესმის მარად,
წინაპრებსაც უცხოვრიათ,
ბოლოს თვალნი მოენისლათ,
მათაც ძუძუ უწოვიათ
დალოცვილი მშობელისა,
ყველგან დედას ეძახიან,
ყველგან მისი ქება ისმის,
უკვდავების ვენახია
და სიცოცხლის დასაწყისი.
მკერდში ძალა ჩაგვინერგა,
დაგვილოცა დღენი ყრმობის,
ჩვენ სახელი მოგვცა დედამ
და თან სისხლი წვეთწვეთობით.
გავიზარდეთ, დიდ ცხოვრების
გზაზე გაველთ მკერდგაშლილი,
შევიყვარეთ მეგობრები,
სიტყვა დედით შევკავშირდით.
და დღეს, ვიცი, ყველა დედას
არ სურს ომის ახანძრება.
ყველას შვილი ენანება
და მათი ხმა სად არ წვდება.
იმათი ხმა მეხზე უფრო
და გრიგალზე მაგარია,
რომ მშვიდობა მარად იყოს
ისევ აკვნებს დახარიან,
ისმის მათი იავნანა,
ხმა ნეტარი ცაში ადის.
ამბობს დედა; ომი — არა!
შორს ტანჯვა და ხვაშიადი.
დე, მსოფლიოს ყველა დედებს
აუსრულდეს ნატვრა გულის —
დედამიწა ჰგავდეს ედემს,
ზედ ჰყვაოდეს გაზაფხული!

თარგმნა ო. მამფორიამ

# მეაბრეშუმე

ღრმა ძილით სძინავს სოფელს. პატარა ღელეებსაც ჩასძინებიათ. ჩქამი არ ისმის. მხოლოდ მერცხლის ბუდესავით სახლის სარკმლიდან გამოჭრილი სინათლე აფრთხობს ღამის სიბნელეს. ოთახში ორნი არიან—უფროსს ნადია ჰქვია, უმცროსს—ზინა.

უფროსს არ სძინავს, გარინდულა, ეშინია მის ფეხებთან მოკალათებული ზინა არ გააღვიძოს, მამამ რომ მცველად მიუჩინა. თვალგახელილი წევს და ელის გულისსწორს. სტვენა ისმის. ნადია კარებთანაა. კარის ჭრიალზე ზინა იღვიძებს.

— სად მიდიხარ, გოგო?

ნადიამ დას ტუჩზე ხელი დააფარა:

— სუ, თუ ჩემი დაიკო ხარ.

— დედა არ მომიკვდეს, მამას დავუძახებ.

მეტი გზა არ არის, ზინა უნდა მოატყუოს.

— რა სულელი ხარ, სად უნდა წავიდე? ჩვენი ბაღის მაფშალია* ისე საამოდ სტვენს, კარი გავაღე, რომ უფრო კარგად მოვისმინო!

— მაფშალია თუ ბესარიონი?

ნადიას ცეცხლი წაეკიდა, დას შეუტია:

— ნუ წაგიგრძელებია ენა, ბესარიონს ამ შუაღამეზე ფოცხოდან ხორშში რა მოიყვანდა? დაიძინე.

— მე რა მენაღვლება, შენ იკითხე—მამა ამბობს ბესარიონი ცივი მჭადის ჭამაში ამოაძრობს სულსო,— ძილმოკიდებული ხმით წაიბუზღუნა ზინამ და ძილმა თავი წაართვა.

ნადია ეზოში გაჩნდა. წამით შეჩერდა. დედის ნათქვამი გაახსენდა:

— ჩემი ხელით მოვკლავ ნადიას და ბესარიონს არ გავაყოლებ. შვიდი ძმა რომ გაიყოფა, თითოს თითო ფიცრის მეტი არაფერი ერგებაო.

სახლისკენ შემობრუნდა. სტვენა განმეორდა, მერე ჭიშკარს გადაევლო და ბესარიონის მკლავებს მიენდო...

რძალს მაზლები ხელის გულზე ატარებდნენ. იგი ექვსი ძმის მესაიდუმლე იყო, ყველას მეგობარი, მაგრამ ისედაც მრავალრიცხოვან ოჯახს, როცა ორი ახალი რძალი შემოემატა, ბესარიონმა ცალკე გასვლა არჩია.

— ჩიტსაც კი აქვს საკუთარი ბუდე, დროა ჩვენც საკუთარი ოჯახი გვქონდეს.

ფულიც ჰქონდათ შემონახული. საკარმიდამო ნაკვეთიც მიიზომეს, რომ...

1941 წელმა ყველაფერი უკუღმა დაატრიალა. ბესარიონი ფრონტზე წავიდა. ორი მცირეწლოვანი ბავშვი ნადიას უნდა ერჩინა. არ დაიბნა, პატარები ბაგაში მიაბარა. თვითონ კოლმეურნეობას მიაშურა. დღისით თუ დროს ვერ იშოვიდა, ღამით ტრიალებდა საკარმიდამო ნაკვეთში. სოფელში უკვირდათ—ნეტავ, როდის ასწრებსო ნადია ძილს. მისი ხელით მოღობა ფაცხა. იქ დაბინავდა. ძველი უჯიშო ხეები მაღალხარისხოვან ჯიშეებზე გადაამყნო. ათას ორასი ძირი ნამყენი ვაზი ჩაყარა. ასზე მეტი ქართული ჯიშის თუთა დარგო. ახლო-მახლო სოფლებში ოდა-სახლი შეათვალიერა და ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მივიდა თხოვნით:

— ვიცი, ახლა თქვენთის ყოველი წუთი ძვირფასია, მაგრამ ზანაში სახლი ვიყიდე, მინდა გადმოვიტანო, ხარურემი მათხოვე,— და სწრაფად დაუმატა:—დღე რავა ღმერთი გამიწყრება, რავა მოვაცდენ, ღამე ვზიდავ ნელნელა.

თავმჯდომარეს სახე სიხარულით გაებადრა.

«ყოჩაღ, ქალო,—გულში გაიფიქრა,—ქმარი ფრონტიდან რომ დაბრუნდება, აშენებული ოჯახი დახვდება».

იმ ღამესვე თავმჯდომარე თვითონ გაუძღვა ურემს წინ.

ფოტო ი. სეფიაშვილის



* მაფშალი—ბულბული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ომგადახდილი ბესარიონი ჭიშკარს რომ მიადგა, თვალთ დაუბნელდა, თავში ხელი შემოირტყა:

— ავავაი ჩემი ცოდვა, მიღალატა ნადიამ, ალბათ, გათხოვდა.

ეზოს თვალი მოავლო, ოდესღაც გადატიტვლებული ნაკვეთი ბაღნარად იყო ქცეული და ამ ბაღნარს კოხტა ოდა ამშვენებდა. ის იყო უკან გაბრუნებას აპირებდა, მეუღლის ხმა შემოესმა:

— ბესარიონ, ჩემო ბესარიონ!

ნადია ხელგაშლილი გამორბოდა...

ბედნიერი ცოლქმარი გაათკეცებული ენერგიით ჩაება შრომაში.

ნადია მთელ რაიონში განთქმული მეაბრეშუმეა, არც ჩაის კრეფაში ჩამორჩება სხვებს, მაინც უკმაყოფილოა— აბრეშუმის გამოკვება მაშინ იწყება, როცა საგაზაფხულო კულტურების თესვაა გაჩაღებული.

— მაშ რა ქალი ვიქნები, თუ აბრეშუმის ჭიის გამოკვების ვადას ვერ შევამცირებ,—თქვა და მეაბრეშუმეთა რგოლს ჩაუდგა სათავეში.

საჭიე ბინა დააკრიალა, გააკეთა დეზინფექცია, ლასტები მოამზადა. მერე სოფლის ბიბლიოთეკას მიაკითხა, მოწინავე მეაბრეშუმეთა გამოცდილებაზე ახალი ლიტერატურა მოითხოვა, გულდასმით გადაიკითხა და ოცი გრამი აბრეშუმის ჭიის მური თეთრ თავსაფარში სათუთად გახვეული მიიტანა შინ.

ღამე, როცა ქმარშვილს ღრმა ძილით სძინავს, ნადია ჭრაქის შუქზე აბრეშუმის ჭიას აპურებს. მერე რგოლის წევრებს მიუკაკუნებს კარზე.

— ქალო, ღამურა ხომ არა ხარ? დღე რომ არ გვასვენებ, ის არა კმარა? ღამე მაინც მოგვასვენე,—ხუმრობით ეუბნება ტატიანა ახალაია.

— დასვენება საიქიოშიც გვეყოფა. შენ ეს მითხარი, ჭია ხომ არა გყავს დამშეული? არ შევრცხვეთ, თორემ ფოცხოში არ გიწერია ცხოვრება.

— ბაბო, ყველაზე დიდი სისუფთავე აბრეშუმის ჭიას უყვარს. ყოველ ასაკში ნაძირი ორჯერ უნდა გამოცვალო. ლასტებზე ნორმალურად გაანაწილე ჭია, ისე რომ მათ ხელი არ შეეშალოთ სუნთქვაში, კვებაში და ზრდაში,— აფრთხილებს მეორე მეგობარს და თითქოს ფრთები ასხია, სხვებისკენ მიიჩქარის.

თვითონ ნადია ხუბუა კი ნაძირის გამოცვლის დროს ყოველ აბრეშუმის ჭიას თვალის ჩინივით უფრთხილდება.

როგორც ჩემი ბავშვების შიმშილს ვერ ავიტან, ასევე აბრეშუმის ჭიის შიმშილი აუტანელია ჩემთვის, —ამბობს იგი და წარამარა გაჰყურებს სივრცეს. საკმარისია ღრუბლის ნატამალი შენიშნოს, შუა ღამეზე მთელ ოჯახს ფეხზე დააყენებს. ამიტომაა შედეგიც რომ კარგი მიიღო— ოცდაოთხ დღეში დაამთავრა აბრეშუმის ჭიის გამოკვება, გეგმით გათვალისწინებული ორმოცდათოთხმეტი კილოგრამის ნაცვლად ას სამოცდა თოთხმეტი კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა და 244 შრომადღე დაერიცხა. მისმა რგოლმა კი გეგმა 205 პროცენტით შეასრულა.

ნადია დაუზოგავად იბრძვის ახალი შრომითი წარმატებისათვის.

**ოლია რევია**

# საინტერესო თემაზე

## პირველი კამელიები

1703 წელს ფილიპინის კუნძულებიდან თავის სამშობლოში, ესპანეთში დაბრუნდა მისიონერი კამელი. უცხო მხრიდან ჩამოტანილ სხვადასხვა ველურ ნერგთა შორის იყო ორი ახალი მცენარე, რომელიც მანამდე ცნობილი არ იყო ევროპაში. ახალმა ყვავილმა განაცვიფრა საზოგადოება და მას მისი მომტანის, მღვდლის—კამელის სახელი შეარქვეს. ამ ყვავილით მოიხიბლა ესპანეთის მეფის ფერდინანდ მეხუთის მეუღლე. მისი ჩაგონებით მეფემ ეს ნერგები თავის გამოცდილ მებაღეს გადასცა და უბრძანა გაევრცელებინა ქალაქგარეთა სასახლის—ბუენ-რეტიროს ბაღში. ბაღი აივსო შესანიშნავი კამელიებით. მეფე და დედოფალი სასტიკად იცავდნენ ამ ბაღს, მათ აკრძალეს კამელიების გავრცელება ბუენ-რეტიროს საზღვრებს გარეთ. ასეთივე პოლიტიკას აგრძელებდნენ მათი მემკვიდრეები და 60 წლის განმავლობაში კამელია ევროპაში მხოლოდ ესპანეთში და ისიც ბუენ-რეტიროს ბაღში ყვაოდა. მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტმა-მებაღემ ყურმოკრულად იცოდა, რომ ესპანეთის მეფის ბაღში საოცარი უცხო ყვავილები იყო.

საბოლოოდ კამელია მთელ ევროპას მოედო. ეს ასე მოხდა: ესპანეთის მეფემ განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად კამელიის რამდენიმე ნერგი უსახსოვრა ნაპოლეონ I-სა და მის მეუღლეს ჟოზეფინას. ნაპოლეონმა ბრძანა მისი მოშენება ჟოზეფინას საყვარელ რეზიდენციაში—მალმეზონში. აქედან კი ეს ყვავილი სწრაფად გავრცელდა მთელს ევროპაში.

## უჩვეულო ვახშმები და კერძები

ვისაც წაუკითხავს ჩვენი სახელოვანი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანი «დავით აღმაშენებელი» არ შეიძლება არ დამახსოვრებოდა რომანის ერთ-ერთი გმირის მახარას სახე: მახარა მახეებს უგებს ბულბულებს, იჭერს მათ, ახალგაზრდა დავით მეფესა და მის საცოლეს—თრიალეთის ბატონის ასულს დედისიმედს პირდება, რომ ქორწილის დღისთვის დაუმზადებს უჩვეულო კერძს ბულბულის ენიდან.

შეიძლება რომანის გმირი ხუმრობით ლაპარაკობდეს ასეთი არაჩვეულებრივი კერძის შესახებ, მაგრამ ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როცა ძლიერნი ამ ქვეყნისანი, თავიანთი საზღვარგადასული ჟინის დასაკმაყოფილებლად ამზადებინებდნენ კერძებს მომღერალი ფრინველების, კერძოდ ბულბულების, ენიდან. აი, რამოდენიმე ფაქტი:

სახელგათქმული რომაელი მსახიობი კლავდი ეზოპი, რომელიც ცხოვრობდა პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ურიცხვი სიმდიდრისა და მონების მფლობელი იყო. ერთხელ მან განკარგულება გასცა დაემზადებინათ მისთვის კერძი მოლაპარაკე და მგალობელი ფრინველების (ბულბულები, თუთიყუშები) ენიდან. თითო ასეთი ფრინველი იმ დროს 6.000 სესტერცი *) ღირდა. ეს იშვიათი კერძი დამჯდარა 100.000 სესტერცი.

მამის საქციელით წაქეზებულმა ეზოპის შვილმა მოისურვა კიდევ უფრო მეტად უჩვეულო კერძის მირთმევა—მან დააფქვევინა ერთ მილიონ სესტერცად ღირებული მარგალიტი, გაალესინა წყალში და დალია.

რომაელმა დიქტატორმა იულიუს კეისარმა ერთ-ერთ მის მიერ გამართულ ვახშამზე ასი მილიონი სესტერცი დახარჯა. ეს თანხა უდრიდა მისი საბრძანებლის სამი პროვინციის ერთი წლის შემოსავალს.

ძმებს არიებს, რომლებიც ერთ დროს რომის იმპერიის ძლიერთაგანი იყვნენ, ბულბულების ხორცით სტუმრების გამასპინძლება ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ. ნახევარი მილიონი სესტერცი დაუჯდა ერთი ვახშამი რომის იმპერატორს კალიგულას.

ასე ნიავდებოდა დამპყრობლური ომებით და მონების შრომით მოპოვებული უზარმაზარი სიმდიდრე.

---

*) ფულის საზომი ერთეული ძველ რომში, ერთი სესტერცი 5 მან. 25 კაპ. უდრიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იწყება ახალი სასწავლო დღე. მაღალი, ფერმკრთალი ქალი აივლის კიბეებს დაფიქრებული, მეოცნებე თვალებით. 35 წელია აღებს ის ამ კარებს, ჩაუვლის სვეტებს... 35 წელი... აქ გაიარა მისმა სტუდენტობამ და პირველმა ნაბიჯებმა მეცნიერების ფართო გზაზე... ის, ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, რუსული ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბევრი, ძალიან ბევრი შრომების ავტორი თინათინ ნიკოლოზის ასული მრევლიშვილი... ამ თეთრი კედლების იქეთ მას 801 სტუდენტი ელოდება, ელოდება მის რჩევას, დახმარებას, მზრუნველობას. ფილოლოგიის ფაკულტეტი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და მოწინავე ფაკულტეტია,სადაც უმრავლესობა ქალებია, სადაც საშუალო შეფასება იწერება იშვიათად და ფრიადოსნები ისე ბევრია, რომ მათი დამახსოვრება არც ისე ადვილია. მისთვის მაინც ყველა ერთია, ერთნაირად ძვირფასი და საყვარელი. პატივს სცემენ, უყვართ სტუდენტებსაც.

**თინათინ მრევლიშვილი (მარჯვნიდან მეორე) მომავალ ჟურნალისტებთან**

ფოტო დ. იაკობაშვილის

მაშინაც გაზაფხული იყო, როცა თბილისში ჩამოვიდა სამუშაოს საძებნად, არსად მიიღეს და ვერა აბაზაძე ისევ მოსკოვში დაბრუნდა, სადაც ფრანგული ენის კურსები დაამთავრა, დაბრუნდა და იქვე დატოვეს მასწავლებლად. ეს იყო 1917 წელს.

მას შემდეგ ორმოცზე მეტი გაზაფხული მოვიდა და წავიდა, ორმოც თაობას გაუვლია მის ხელში. ასწავლიდა ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს.

1919 წელს ისევ ჩამოვიდა საქართველოში. პირველად მახარაძეში (მაშინდელი ოზურგეთი) მასწავლებლობდა, შემდეგ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ასწავლიდა უცხო ენებს. 1948 წლიდან კი, როცა თბილისში უცხო ენების ინსტიტუტი დაარსდა, ისიც მიიწვიეს და დღემდე ფრანგული ენის კათედრაზე მუშაობს უფროს მასწავლებლად. სამი ენიდან ყველაზე მეტად ფრანგულის პატივისმცემელი დარჩა ბოლომდე, შეიძლება იმიტომ, რომ ამ ენაზე ისწავლა ანბანი. მისი ყველა შრომა ფრანგული ენის თავისებურებას, მის ისტორიას მიეძღვნა. მასწავლებელ კაზეიშვილთან ერთად ის არის საშუალო სკოლის მე-5 კლასისათვის ფრანგული ენის სახელმძღვანელოს შემდგენელი. რაც გააკეთა და რისი გაკეთებაც შეეძლება, ყველაფერი ამათთვის არის, ახალგაზრდობისათვის.



**ვერა აბაზაძე (შუაში)**



# დეიდა მარო

ქალაქს დანათოდა ნაცრისფერი განთიადი. ქუჩაში ელნათურები უფერულდებოდნენ. ბოლავდა სადაფისფერი ბურუსი...

ხმაურით შემოიჭრა სიჩუმეში ტრამვაის პირველი ვაგონი. წამით დადუმდა, მერე ისევ განაგრძო გზა.

მარიამი იდგა ქუჩაში. საქმიანობდა ნაცნობი მეეზოვე, ხეზე მიეყუდებინა გრძელტარიანი ცოცხი. ხელში ეჭირა სარწყავი.

მარიამი მიესალმა მეეზოვეს და გაჰყვა ქუჩას. ქუჩას სიგრძეზე მიჰყვებოდა ტანაყრილი ჭადრები. უნივერსიტეტის ეზოში ყვავილებს რწყავდა მებაღე. ღამის დარაჯი წასასვლელად ემზადებოდა...

«ხომ არ დამაგვიანდა?» — გაიფიქრა მარიამმა. ეს ეჭვი ყოველთვის გაჰკრავდა, როცა სხვას წაასწრებდა მოსაქმეს. ფეხს აუჩქარა, უნივერსიტეტის წინ აღმართი სწრაფად აიარა და კიბეებს მეორე სართულზე აჰყვა.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დერეფანში სიწყნარე იყო. კაბინეტებში და აუდიტორიებში უწესრიგოდ ეწყო სკამები. იატაკზე ეყარა მოჭმუჭნილი ქაღალდები. დაფები აჭრელებული იყო ნაწერით. მარიამი დერეფნის ბოლოში თავის კარადასთან მივიდა. იქიდან სამუშაო ხალათი და წინსაფარი გამოიღო, სწრაფად გადაიცვა და ისე დატრიალდა, როგორც საკუთარ ოჯახში.

აუდიტორიებს და კაბინეტებს მისი მზრუნველი ხელი რომ დაეტყო, მაშინ იმძლავრა დღის შუქმა სარკმელში.

მარიამმა ელექტრონი ჩააქრო, სარკმელი გამოაღო და გარეთ გაიხედა. ჭადრების კენწეროებს ამომავალი მზის სხივები ოქროსფრად აფერადებდა. სუფთა იყო ცა, ცივი და უღრუბლო. ტრამვაის გაჩერებასთან ხალხი მომრავლებულიყო. მარიამმა ნოდარის და ბიძინას მოჰკრა თვალი. ძმები რაღაცაზე გატაცებით საუბრობდნენ. მარიამს უნდა დაეძახა, მაგრამ ამ დროს ტრამვაის ვაგონი ჩამოდგა და შვილები წაიყვანა.

შვილების დანახვამ ქმარი მოაგონა, ნოდარი მაინც ძალიან ჰგავდა მამას.

— ეჰ, დაიწვას ომის სახსენებელი...

* * *

ცუდი დრო იყო...

ჩვენს ქვეყანაში ომის ხანძარი ტრიალებდა. მთელი ხალხი აღსდგა მამულის დასაცავად.

სამხედრო ეშელონის ვაგონთან იდგა ვასილ ბიძინაშვილი, გარშემო ცოლ-შვილი შემოხვეოდა.

— თავს გაუფრთხილდით...

— ჩვენი დარდი ნუ გექნება, ვასო. ბავშვებს არაფერს გავუჭირვებ, შენ ოღონდ მალე ჩამოდი, გესმის? მალე ჩამოდი... — ამშვიდებდა ფრონტზე მიმავალ მეუღლეს მარიამი.

ეშელონი წავიდა, თან წაიყვანა ვასო. ბაქანზე სხვა ცოლებთან ერთად დარჩა მარიამი თავისი შვილებით.

* * *

უაღრესად თავდაბალ ადამიანს სიამაყე მაშინ შევნიშნე, შვილებზე რომ დავუწყე ლაპარაკი.

— ნოდარი უკვე ოცდარვა წლისაა.

— სად მუშაობს?

— მოქანდაკეა. ცირა ორი შვილის დედაა, ბიძინამ წელს დაამთავრა სკოლა.

— რამდენი შვილიშვილი გყავთ?

— სამი. ერთი ნოდარს ჰყავს. ორი ცირას. ბიჭმაც და გოგომაც ვაჟებს ბაბუას სახელი დაარქვეს. ორი ვასო გვეზრდება, მაშ!

— თქვენ კი იძახით უბრალო ქალი ვარო, დეიდა მარო.

— მე რა ვარ, შვილო...

* * *

საათის ისარი ცხრას უახლოვდება...

ხმაურით ივსება დერეფნები, აუდიტორიები, მალე ლექციები უნდა დაიწყოს.

— გამარჯობა, დეიდა მარო.

— გაგიმარჯოთ, შვილებო...

— დეიდა მარო, გუშინ კონსპექტები დამრჩა მაგიდაზე, — ეუბნება ქალიშვილი.

— ჩემს კარადაშია, მეორე თაროზე, — ეღიმება მარიამს..

— დეიდა მარო, პროფესორი არ მოსულა? — ახლა სხვები ეკითხებიან.

— საცაა მოვა...

და როცა კარებში მოხუცი პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი გამოჩნდება თავისი განუყრელი ტყავის პორტფელითა და ფეტრის ქუდით, მას პირველად მარიამი ეგებება ხოლმე. თავის მხრივ, დღე არ გავა პროფესორმა მარიამი არ მოიკითხოს, მისი ოჯახის ამბავი არ გაიგოს.

ირეკება ზარი. ცარიელდება დერეფნები, ისევ სიჩუმეა. ირგვლივ ყველაფერი კრიალებს: სარკმელი, იატაკი, კედლები. მარიამი კი მაინც ვერ ისვენებს.

**ო. გოგრიჭიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩემი ყვავილეთი“

მსუბუქი, გამჭვირვალე ბლონდის მიღმა მოჩანს იმერეთის პეიზაჟი. იგი თითქოს მკრთალ ნისლშია გახვეული და ამის გამო ფერები რბილად გადადიან ერთმანეთში. ეს არის პოეტური სამყარო, შორიდან დანახული. მაგრამ სცენაზე გამოდის ახალგაზრდა გოგონა და იწყებს საუბარს თავის სოფელზე, რომელიც, თურმე, იმერეთში ყველაზე ლამაზი სოფელი ყოფილა, სადაც უცნაური ყვავილები ჰყვავიან და ამიტომ სახელადაც ყვავილეთი დაურქმევიათ. ჩვენც ნელნელა ვუახლოვდებით ამ სამყაროს. უპირველესად გვახარებს აქ დასახლებული ადამიანების სიწმინდე და გულითადობა, რაც მათი ჭეშმარიტი ბუნებაა, გადმოსული საუკუნეთა სიღრმიდან და ამ მშვენიერი მიწიდან შეწოვილი. იმერეთის პლასტიკური პეიზაჟი, გამონაკლისი თავისი მკვეთრი ფერადოვნებით, რომელიც დავით კაკაბაძის ფერწერაში ამ მხარის ტიპიურ მხატვრულ სახედ იქცა, აქ გაცოცხლებული ამგვარივე პოეტური ადამიანების ცხოვრებით. თუმც მხოლოდ მანანა, სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც გაოცებული შესცქერის სამყაროს, ყმაწვილქალურ ბურანშია გახვეული და რაღაც შინაგანი იმპულსებით აღძრული (სიყვარულის გაუცნობიერებელი მოთხოვნა) უფრო მგძნობიერად აღიქვამს ყველაფერს და ამის შესახებ პოეტურად ლაპარაკობს, ხოლო სხვები კი, სხვა საზრუნავს მოუცავთ, უფრო «მიწიერნი» არიან, მაგრამ მათს სულის სიღრმეშიც ცოცხლობს სიყვარული ამაღლებულისადმი, ყოველივე სიკეთისა და კეთილშობილისადმი.

ეს ხანდაზმული ადამიანები, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიანობაში არიან ჩაბმულნი, ისინი თითქოს არაფერს განსაკუთრებულს არ ლაპარაკობენ და, მიუხედავად ამისა, მათგანაც ვგრძნობთ ჩვენ პიესისა და სპექტაკლის პოეტურ სულს. მათი საუბარი არ სცილდება საკუთარი ოჯახისა და სოფლის ამბებს, მათი სატკივარი და სიხარულიც ასევე არ მოიცავს დიდ მასშტაბებს. მაგრამ, ჩვენდა შეუმჩნევლად, დგება მომენტი, როცა ეს უბრალო ადამიანები იძენენ გაცილებით დიდ მნიშვნელობას, ვიდრე ჩვენ ამას მოველოდით. ისინი ცოცხლად გვაგრძნობიებენ ყველა იმ პრობლემას, რომელიც ასერიგად აწუხებს ჩვენს ავტორს და მის გმირებს.

ნიმფა — მერი დავითაშვილი



სწორედ ამ «შეფარვით თქმაშია» მწერლის ოსტატობა. სადღაც, ალაგ-ალაგ, ფრთხილად ფანტავს მარიკა ბარათაშვილი რაიმე მეტაფორას, თუ მხატვრულ დეტალს ამ ადამიანთა ბუნებაში, პიესის დასასრულს ყველაფერი თავის ადგილზეა, ჩვენ ვგრძნობთ ცოცხალ, პოეტურ ხასიათებს.

რაც უფრო ღრმად ვეცნობით ამ ხასიათებს — მანანას, მაკრინეს, განსაკუთრებით ყარამანს, რაც უფრო ღრმად შევდივართ მათ შინაგან სამყაროში, მით უფრო წამოიშლება ჩვენს წინაშე მრავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა. თურმე ამ ადამიანების პირადი მწუხარება და გულისტკივილი იმდენად ღრმა და საცნაურსაყოფია, რომ მათზე ლაპარაკი, მათი გახსნა თავისთავად, ორგანულად ნიშნავს რაიმე პრობლემაზე საუბარს. სწორედ ამ ბუნებრიობის გამო ჩვენ არსად გვეჩვენება, რომ მარიკა ბარათაშვილი საგანგებოდ, მაყურებლისთვის შესამჩნევი წინასწარგანზრახულობით აყენებდეს რაიმე საკითხს. თვით ხასიათებიდან გამომდინარეობენ ეს პრობლემები, ეს მათი ბუნების განუცალკევებელი ნაწილია. ისინი ლაპარაკობენ თავიანთ სატკივარზე და შესაძლოა ამ დროს კარგად არც კი იცოდნენ, რომ მთელი ერის სატკივარს გამოხატავენ. ყარამანი ლაპარაკობს ქართული კერიის მოუშლელობაზე, მიწისა და ბავშვებისადმი სიყვარულზე, მოდგმის გამრავლებაზე იმიტომ, რომ იცის მათი განუზომელი მნიშვნელობა ერისათვის. ყოველივე ამას კი ისევე ბუნებრივად და შეუცნობლად განიცდის, როგორც თავისი სოფლის პეიზაჟს, მიწის სურნელებას.

სწორედ ეს ძირითადი მხარე მარიკა ბარათაშვილის შემოქმედებისა იგრძნო რეჟისორმა კოტე სურმავამ. უპირველესად იგი მიხვდა, რომ პიესის პრობლემა ძევს ამ ადამიანთა ხასიათებში და არა სხვა რაიმე მორალურსა თუ იდეურ სენტენციაში. ამიტომაც მან მთელი ყურადღება მიმართა ამ ხასიათების რაც შეიძლება ღრმად გახსნისაკენ.

ისევე როგორც მ. ბარათაშვილი, რეჟისორიც ფრთხილად, შეუმჩნევლად, «შეფარვით» ხსნის ხასიათებსა და პრობლემებს. ამავე პლანში იწყება სპექტაკლიც — ასევე თითქოს შორს არის გმირთა გარემო, რომელიც შემდეგ სიცოცხლის ხმებითა და მზით ივსება, რათა უფრო ახლობელი და საგრძნობი გახდეს ჩვენთვის. სპექტაკლის მხატვარი დინარა ნოდია კაკაბაძისებურ მანერაში ხატავს იმერეთის პეიზაჟს და ეს გამოდის როგორც მეტაფორა ერთხელ უკვე განცდილი პოეტური სამყაროსი.

რეჟისორი კ. სურმავა ცდილობს თვით მაყურებელმა დამოუკიდებლად, ცხოვრებისაგან აღტაცებული მანანასაგან დამოუკიდებლად, დაინახოს და იგრძნოს ყარამანის ხასიათის მნიშვნელობა და სიღრმე.

გრ. კოსტავამ, რომელმაც ღრმად განიცადა ყარამანის ხასიათი, დიდი შინაგანი მღელვარებით და ემოციურობით წარმოსახა იგი. მისმა შესრულებამ მრავალმხრივ განსაზღვრა სპექტაკლის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და აზრი.

რეჟისორმა გამოამჟღავნა იმგვარი ნიჭი და ინტუიცია, რომ ამოზიდა ყველაფერი კარგი, რაც პიესაში იყო და მას ახალი ელვარება და სიცოცხლე მიანიჭა. ხოლო ეს კარგი პიესაში დადებითი ხასიათებია და მათთან დაკავშირებული პრობლემები. სავსებით მართებულად, რეჟისორმა შედარებით უკან დასწია პიესის სხვა პრობლემები, თუმცა არა იმდენად, რომ იგი შეუმჩნეველი დარჩენილიყო მაყურებლისათვის. პიესის ორიგინალობას, მის მომხიბვლელობას ამ სამი ადამიანის ხასიათი განსაზღვრავს და არა უარყოფითი პერსონაჟები და მათთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთაც, ჩემის აზრით, მოარული შტამპის ნიშნები საკმაოდ მკვეთრად ატყვიათ. აქ გამომჟღავნდა მერი დავითაშვილის განსაკუთრებული ტალანტი და ტაქტის გრძნობა. იგი პირდაპირ ბრწყინვალედ თამაშობს ყალბი არისტოკრატიზმის მსხვერპლის, ნიმფას როლს, მაგრამ ერთი წამითაც არ ცდილობს წინა პლანზე გამოიყვანოს თავისი გმირი.

არ შეიძლება გვერდი ავუქციოთ აგრეთვე გენრიეტა ლეჟავასა და ეკატერინე ვერულეიშვილის მშვენიერ შესრულებას.

სპექტაკლი დამთავრდა და ჩვენც ვტოვებთ თეატრს იმ განწყობილებით, რომელიც აღგვეძრება ხოლმე მგრძნობიარე და კეთილშობილ ადამიანებთან სიახლოვით.

**ნ. გურაბანიძე**



# არაჩვეულებრივი ქუჩა

მოთხრობა

ამ ქუჩაზე არაფერი იყო არაჩვეულებრივი. ჩვეულებრივი იყო აკაციები, ქუჩას რომ ორივე მხარეს გასდევდნენ, იმ აკაციების თეთრი ყვავილები, მათი სურნელი და ის ძველი ყაიდის სახლებიც. ჩვეულებრივი იყო ორსართულიანი სახლი და მეორე სართული, სადაც ის ცხოვრობდა— ჩვეულებრივი გოგონა, მაღალი, გამხდარი, ცისფერთვალა და ქერათმიანი.

მხოლოდ მე მეჩვენებოდა ყველაფერი არაჩვეულებრივად. ასე მეგონა ასეთი აკაციები მთელ თბილისში მხოლოდ აქ დგას, ეს ქუჩა ყველაზე ლამაზია, მისი ფანჯარა ყველაზე ნათელია და ისეთი წითელი ფერის ყვავილები, იმ ფანჯარაზე რომ დგას, არსად არ არის. ის კი... ის გოგონა ხომ ყველაზე კარგი გოგონაა მთელს ქვეყანაზე.

მე ყოველდღე დავდიოდი სამსახურში იმ ქუჩით. დილით ავივლიდი, საღამოს ჩამოვივლიდი. ავივლიდი დილით—ავიხედავდი მაღლა. ის ფანჯარაში იდგა და თმებს ივარცხნიდა. საღამოს ისევ იქ იდგა და ყვავილებს წყალს ასხურებდა. ასე იყო ყოველ დილით, ყოველ საღამოს.

ერთ დილას, ზაფხულის ერთ მზიან დილას ავიხედე. ფანჯარა ღია იყო და ის იქ იდგა. თავი მაღლა აეწია, ცას შეჰყურებდა გარინდებული. ხალათზე ღილი შეხსნოდა, თეთრი მკერდი მოუჩანდა. ვერაფერს ამჩნევდა. ნიავმა წითელი ყვავილები შეარხია. არ ვიცი, ნიავმა შეაკრთო თუ ჩემი მზერა იგრძნო, უცებ მოიხედა, დამინახა, ცალი ხელით საკინძი შეიბნია, მეორე ხელი ყვავილებს გადაუსვა. დიდი, წითელი ფერის ყვავილები იყო, მრგვალფოთლებიანი, წითელ ქოთანში. გაიცინა. გაიცინა თუ გამიცინა? ხელი თმაზე გადაისვა და შებრუნდა.

საღამოს ისევ ფანჯარასთან იდგა. ჭიქიდან ყვავილებს წყალს ასხურებდა. დამინახა. გაიღიმა. შუბლზე ჩამოშლილი თმები უკან გადაიგდო და ისევ შებრუნდა.

ასე იყო ყოველ დილით, ყოველ საღამოს.

ერთხელ ხელი დავუქნიე. მან შუბლი შეიკრა და თავი გააქნია. ამ დღის შემდეგ ზევით ახედვისაც მრცხვენოდა. თითქოს რაღაც დავაშავე, ცუდი რაღაც გავაკეთე. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. მინდოდა მისულიყავი, ბოდიში მომეხადა, ამეხსნა, რომ ყველაფერი ეს უნებლიეთ მოხდა...

ერთ საღამოს ვერ მოვითმინე და ავიხედე.

ვაჟთან იდგა ხელგადახვეული, დამინახა, გაიცინა და ხელი დამიქნია. მერე იმას მიუბრუნდა, რაღაც უთხრა. ვაჟმა მიიზიდა და აკოცა...

მეორე დილით ფანჯარა ღია იყო. ის ბიჭი იქ იდგა და წვერს იპარსავდა...

... მერე მე ჯარში გამიწვიეს სამი წლით. ის ქუჩაც გადამავიწყდა და ყვავილებიც. მაგრამ... მოულოდნელად გოგონა შემხვდა, სულ მას ჰგავდა. ისეთივე ცისფერთვალება იყო, გამხდარი, ქერათმიანი. მაშინვე ის მომაგონდა. თბილისი, მისი ქუჩა, ყვავილები...

ჩამოვედი. სამსახურში ისევ იმ ქუჩით დავდივარ. მაგრამ იქეთ აღარ ვიხედები. რად უნდა ავიხედო! ის ხომ ბავშვობა იყო, ბავშვური თამაში. ახლა მას ქმარი ჰყავს, შვილიც. ალბათ, ძალიან უყვარს...

მაინც ავიხედე.

ის იდგა, ხელში პატარა ბავშვი ეჭირა. გასუქებულა, უფრო დამშვენებულა. დიდხანს მიყურა. მერე მიცნო, გამიღიმა, თავი დამიქნია. ბავშვი ჩაიხუტა და აკოცა.

ყვავილები აღარ იდგა ფანჯრის რაფაზე. ალბათ, ბავშმა ჩამოაგდო და დაიმსხვრა წითელი ქოთნები. იქნებ, ყვავილები აღარც ახსოვს. ახლა ბავშვი ჰყავს. ბავშვს უვლის, ქმარსაც. ყვავილებისთვის სად სცალია...

საღამოს ჩამოვიარე. ავიხედე. ფანჯარა ღია იყო. რაფაზე ყვავილები იდგა, დიდი, მრგვალფოთლებიანი წითელი ყვავილები, წითელ ქოთნებში.

თითონ ფანჯარასთან იდგა ბავშვით. ბავშვს პატარა წითელი სარწყავი ეჭირა და ყვავილებს რწყავდა.

იმ ქუჩაზე არაჩვეულებრივი არაფერი არ არის. არც აკაციები, არც თეთრი ყვავილები და მათი სურნელი. ყველაფერი ჩვეულებრივია. ჩვეულებრივია ის პატარა ბავშვიც, პატარა სარწყავით და წითელი ყვავილებიც.

მე მაინც მგონია, რომ ასეთი ლამაზი ქუჩა მთელს თბილისში არ არის, რომ ასეთი სახლი მხოლოდ აქ დგას, ასეთი მოსიყვარულე დედა მხოლოდ აქ ცხოვრობს.

მე ასე მგონია და არ ვიცი...

თეიმურაზ თბილელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარო თარხნიშვილი

ქართული მუსიკალური შემოქმედების შემსრულებელ ოსტატთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, ქართლ-კახური სიმღერების დიდ მცოდნეს და მოამაგეს, პირველ ქართველ ქალ-ლოტბარს მარო ესტატეს ასულ თარხნიშვილს.

...1891 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან ზამთრის დილას სოფელ კავთისხევში ესტატე თარხნიშვილს მეზობლები მეცხრე შვილის, მაროს დაბადებას ულოცავდნენ.

— ბედნიერი კაცი ხარ, ესტატე, ბედნიერი!

— უთუოდ კატოსავით კარგი მომღერალი იქნება!—ამბობდნენ მეზობლები.

13 წლით უფროსი იყო მაროზე ეკატერინე და უკვე მოხიბლული ჰყავდა ახლობლები ქართლ-კახური სიმღერების თავისებური, ლამაზი შესრულებით. მამა ხალხური სიმღერების კარგი მცოდნე იყო და, საერთოდ, მთელი მათი ოჯახი მღეროდა, ასე რომ, პატარა მაროც მუსიკალურ გარემოცვაში იზრდებოდა, გატაცებით ისმენდა და სწავლობდა უფროსებისაგან გაგონილ სიმღერებს.



მას თავიდანვე სასიამოვნო და ლამაზი ტემბრის ხმა აღმოაჩნდა. ეკატერინემ და მარომ პატარაობიდანვე შეუწყვეს ხმები ერთმანეთს—ხოლო მათ სიმღერას ამშვენებდა მამის მოხდენილი ბანი. მაგრამ მაროს მუსიკალური ნიჭი მაინც გამოირჩეოდა ოჯახის სხვა წევრებისაგან. ამან თავიდანვე მიიქცია ესტატეს მეგობრებისა და ახლობლების ყურადღება.

ცნობილი მომღერალი ლადო კავსაძე და მისი ძმა, ლოტბარი და ხალხური სიმღერების საუკეთესო მცოდნე მიხეილი ხშირად ეუბნებოდნენ ესტატეს, უყურადღებოდ არ დაეტოვებინა გოგონა და აუცილებლად შეეყვანა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ძმები კავსაძეების ამ ოჯახთან სიახლოვე მაროსთვის ერთგვარი სკოლა იყო—პატარა მარო გატაცებით უსმენდა ამ გამოჩენილი მომღერლების იშვიათი ოსტატობით შესრულებულ ხალხურ სიმღერებს.

ცოცხალი, ცქრიალა და მოძრავი გოგონა, თანატოლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ინციატივით და აქტიურობით. 13-14 წლისამ სოფლის ახალგაზრდობისაგან მომღერალთა პატარა გუნდი ჩამოაყალიბა. ეს იყო მისი გაბედული პირველი ნაბიჯები...

ხშირად ნახავდით მას მინდვრებში, სადაც გლეხები თოხნიდნენ, თიბავდნენ და თან შრომასთან დაკავშირებულ ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ. მარო სწავლობდა კალოსპირულს, ოროველას, თიბვის, მკის, სიმინდის თოხნის და სხვა მრავალ ხალხურ სიმღერას.

მისი სასიამოვნო ხმა, სიმღერის თვისებური კოლორიტით შესრულება ყველას ატკბობდა. მარო თავისებური ორნამენტით ამკობდა,ნაირსახოვანი ელფერით ამდიდრებდა და ახალ იერს აძლევდა სიმღერას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი «ოროველა», «სუფრული სიმღერები», «ურმული», «ჭონა» და სხვა...

მთვარიან ღამეში ზანტად მიმავალი ურმის ჭრიალში უსმენდა მარო კავთისხეველი გლეხის, ლექსო ალიბარაშვილის «ურმულს». ამ სიმღერის მრავალი ვარიანტი არსებობს და მას სხვადასხვა კუთხეში ბევრი თავისებური გადმომცემი და შემსრულებელი ჰყავს. მაგრამ ლექსო ალიბარაშვილის საუცხოო კოლორიტით გადმოცემული ურმული ერთერთი ყველაზე უფრო სახეგამოკვეთილი, მდიდარი, მრავალფეროვანი და საინტერესო ვარიანტი იყო. მარო ძალიან დააინტერესა ურმულის ამ ვარიანტმა. როგორც კი მოჰკრავდა ყურს ლექსოს ურმულს, მაშინვე აედევნებოდა შეუმჩნევლად გვერდით გაჰყვებოდა და მალულად, ჩუმის ხმით აჰყვებოდა ლექსოს ჰანგს. მალე მან საუკეთესოდ შეისწავლა ურმულის ეს ბრწყინვალე ვარიანტი.

1910 წელს მარო თარხნიშვილი ოჯახით ქალაქ გორში გადადის საცხოვრებლად. აქ უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობდა მისი უფროსი და ეკატერინე.

მაროს ერთი აზრი ამოქმედებდა—ქართული ხალხური სიმღერების უფრო მეტი რაოდენობით შესწავლა და მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება.

მეფის მკაცრი რეჟიმის დროს არავითარი პირობა არ იყო ამ უაღრესად საპატიო ეროვნული და ღირსშესანიშნავი საქმის განსახორციელებლად. მაგრამ მარო თარხნიშვილმა გორის მოწინავე საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით ჩამოაყალიბა მწყობრი გუნდი, რომელშიც გაერთიანებული იყო რვა მომღერალი. ამ გუნდში მარო თარხნიშვილს მხარს უმშვენებდა მისი უფროსი და ეკატერინე. გუნდმა მალე დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა. დები თარხნიშვილების სახელი მალე გასცდა გორის ფარგლებს.

1918 წლიდან ეკატერინე და მარო თბილისში გადმოდიან საცხოვრებლად.

აქ მარო ეცნობა საგუნდო მუშაობას და მაშინდელი მოღვაწეების საქმიანობას ამ დარგში, ითვისებს მათგან ბევრ საუკეთესო ჩვევებს, რასაც მისი შემდგომი მუშაობისათვის შთამაგონებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროს მიერ ჩამოყალიბებული ქართლ-კახური სიმღერების შემსრულებელი გუნდის პირველი საჩვენებელი კონცერტი გაიმართა თბილისში 1918 წლის 9 იანვარს. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო და გუნდმა ბრწყინვალე შეფასება მიიღო.

აი რას ამბობს პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი თავისი მოგონებაში:—„1919 წლის 24 მარტს, ოპერის თეატრში გავმართეთ ჩემი ტრადიციული ლიტერატურული საღამო. სხვა მონაწილეთა შორის მოვიწვიეთ დები თარხნიშვილების გუნდი. ამ საღამოს მარო თარხნიშვილმა სოლოდ იმღერა «დაიგვიანეს» და «ურმული». ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. იყო საუკეთესო რეცენზიებიც. გარდა ამისა, ეკატერინე და მარო თარხნიშვილებმა დიდი წარმატებით შეასრულეს «ჭონა»' «მუშური», «მე რეგვენმა პატარძალმა» და სხვა.

მარო თარხნიშვილი თავის გუნდთან ერთად ხშირად მართავდა კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში.

1923 წელს ქ. ბათუმში საქველმოქმედო მიზნით გაიმართა დიდი საღამო-კონცერტი, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ლიზა ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე. ქართული ხელოვნების ამ კორიფეებთან ერთად საღამოში მონაწილეობდნენ დები თარხნიშვილები. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც მათმა გამოსვლამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

1926 წელს თბილისის საზოგადოება საზეიმო ვითარებაში აღნიშნავდა საქართველოს პირველი მძლავრი ელექტროსადგურის «ზაჰესის» გახსნას, სადაც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მარო თარხნიშვილის გუნდი აქაც დიდი წარმატებით გამოვიდა.

1927 წელს დები თარხნიშვილები გუნდთან ერთად გამოდიოდნენ ქ. ქუთაისში გამართულ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო და თვითმოქმედი ანსაბლების პირველ ოლიმპიადაზე. საუკეთესო წარმატების შედეგად ჟიურიმ მათ პირველი ხარისხის ჯილდო მიაკუთვნა.

ამავე წელს საქართველოს მთავრობამ მოსკოვში კონცერტების ჩასატარებლად მიავლინა ჩვენი რესპუბლიკის მომღერალთა გუნდები. მათ შორის იყო თარხნიშვილის გუნდიც, რომელიც წარჩინების სიგელით დაჯილდოვდა.

1929 წელს მარო თარხნიშვილის გუნდი ხელმეორედ მიემგზავრება საგასტროლოდ მოსკოვს. ნაყოფიერი მუშაობისა და დიდი წარმატების შედეგად გუნდს დაენიშნა სახელმწიფო დოტაცია.

1939 წელს გუნდი სამი თვით მიემგზავრება უკრაინაში. იგი მეტწილად სტალინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურეთათვის მართავდა როგორც ფასიანს, აგრეთვე უფასო (საშეფო) კონცერტებს.

უკრაინაში მარო თარხნიშვილს მიუძღვნეს შახტის ტრადიციული ნათურა და კედლის სარკე წარწერით: «საუკეთესო მომღერალს და ლოტბარს მარო თარხნიშვილს უკრაინელი და ქართველი ხალხის მტკიცე მეგობრობის და ურთიერთობის ნიშნად გულთბილი გრძნობით და დიდი პატივისცემით გიძღვნით ამ მცირე საჩუქარს»·

დიდი სამამულო ომის პერიოდში მარო თარხნიშვილის გუნდმა 362 საშეფო კონცერტი გამართა სამხედრო ნაწილებში, ჰოსპიტლებსა და სამხედრო გემებზე.

მრავალი წლების მანძილზე მარო თარხნიშვილი განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის სხვადასხვა თვითმოქმედ ანსამბლებს რუსთავში, გორში, კასპში და სხვაგან. დიდი სიყვარულით მუშაობდა აგრეთვე სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

1949 წლიდან დღემდე მარო თარხნიშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს სარეწაო საბჭოს კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის თვითმომქმედ ანსამბლს.

საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ სათანადოდ დააფასეს ეკატერინე და მარო თარხნიშვილების ღვაწლი. 1937 წელს დებს თბილისის ოპერის თეატრში იუბილე გადაუხადეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ეკატერინე თარხნიშვილს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის და მარო თარხნიშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭათ. ეკატერინე და მარო თარხნიშვილები დაჯილდოებულები არიან ორდენებითა და მედლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 დეკემბერის ბრძანებულებით მარიამ ესტატეს ასულ თარხნიშვილს, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

კომპოზიტორი **გიორგი კოკელაძე**

7993

# იუმორი

## მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

### პ ა ტ ა რ ე ბ ზ ე, დ ი დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

— რამდენი სული ხართ ოჯახში, ზურიკო? ეკითხება პირველკლასელს მასწავლებელი.

— სამი.

— აბა ჩამოთვალე, ვინ და ვინ?

— დედა, ჩემი დაიკო და მე.

— მამა?.. მამა არა გყავს?

— მამა სათვალავში არ ითვლება.

— როგორ თუ არ ითვლება?!..

— დედა ამბობს: კაცი, რომელიც რვა წლის განმავლობაში ბეწვის პალტოს ვერ უყიდის ცოლს, გინდა ყოფილა სახლში და გინდა არაო.

*

— ბავშვებო, გინდათ სახლობანა ვითამაშოთ?.. მე მამა ვიქნები, მზია, შენ დედა იქნები, დანარჩენი ბავშვები კი შვილები იქნებიან, კარგი?

— მხოლოდ იცოდე, ოთარ, მოსამსახურე თუ არ გვეყოლება, მე არ ვიქნები დედა,—განაცხადა მზიამ.

*

— ალლო, დათუნა ხარ? სთხოვე მამიკოს ტელეფონთან.

— მამა შინ არ გახლავთ, წავიდა.

— სად წავიდა?

— დედამ ჯანდაბაში გაგზავნა.

*

— რომ იცოდე, გიზო, როგორ ახალ ამბავს გეტყვი... მამამ ტელევიზორი იყიდა!.. დედას ისე გაეხარდა...

— ჩემს დედასაც ძალიან გაეხარდება...—ვერ ფარავს აღტაცებას გიზო.

*

— გოგოლამ მოკლე დროში საწოლი ოთახის გარნიტური იყიდა, სასადილოც გამოაწყო და დღეს კაკლის ხის სავარძლები მოიტანა კაბინეტისათვის, შენ კი ამბობ, ხის ავეჯის შოვნა ძნელიაო.—სახლში შემოსვლა არ აცალა ქმარს გაკაპასებულმა ცოლმა.

— აბა, რა ვიცი როგორ ახერხებენ ეგ დალოცვილები ამდენს, ვინ ეხმარებათ, ნეტავი?..

— მამი, ალბათ, ტყის მეგობრები ეხმარებიან,—სთქვა პატარა გივიკომ.

ნანა კანდელაკი

საჯარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშინაო მეცადინეობისათვის

## როგორ დავეხმაროთ ბავშვს საშინაო დავალების შესრულებაში

რუსი პედაგოგი მაკარენკო წერდა: «მშობელთა დახმარება არ უნდა იყოს თავზე მოხვეული, მომაბეზრებელი, მომქანცველი. ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვს სრული ნება უნდა მისცეთ თვითონვე დააღწიოს თავი სიძნელეს, საჭიროა იგი მიეჩვიოს დაბრკოლებათა გადალახვას და უფრო რთული საკითხების გადაჭრას. მაგრამ ყოველთვის უნდა ხედავდეთ, თუ როგორ ასრულებს ბავშვი ამ ოპერაციას, არ უნდა დაუშვათ, რომ იგი დაიბნეს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. ზოგჯერ საჭიროა კიდეც, რომ ბავშვი ხედავდეს... თქვენს ყურადღებას, თქვენს ნდობას მისი ძალებისადმი».

და მართლაც, ბავშვი რომ სწორად აღიზარდოს, მშობლებმა უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდნენ, საჭიროებს თუ არა მისი შვილი დახმარებას.

თუ ბავშვი საგანში «2», «3», «4», ან «5» მიიღებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას პირველ ორ შემთხვევაში დახმარება სჭირდება, ორ უკანასკნელში კი არა. ამოსავლად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების ნიშანი ვერ გამოდგება. აქ გასათვალისწინებელია რა ვითარებაში მიიღო ბავშვმა ესა თუ ის ნიშანი, ხომ არა აქვს ადგილი ბავშვის ან მასწავლებლის მუშაობაში რაიმე არსებითი ხასიათის ნაკლს, ბავშვისადმი მომთხოვნელობის შენელებას და სხვა. ხშირად მშობლები ამას არ ითვალისწინებენ, ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ თავიანთ შვილებს, არაფერს არ იშურებენ, ანგარიშს არ უწევენ იმას, აქვთ თუ არა ბავშვებს სათანადო ცოდნა.

მშობელს, როგორც აღმზრდელს, გარკვეული ცოდნა და უნარი უნდა ჰქონდეს, რომ ბავშვს დაეხმაროს, და დაეხმაროს მაშინ, როცა ეს აუცილებელია (მოსწავლის ან მასწავლებლის ხანგრძლივი ავადმყოფობა, სკოლის, კლასის, მასწავლებლის შეცვლა და სხვ.). დახმარების ღონისძიებანი უნდა გავატაროთ იშვიათად, კონტროლის და შემოწმებისა კი სისტემატურად. ამასთან დახმარება კონტროლში არ უნდა ავრიოთ. თანაც თუ დახმარება აუცილებელია, იგი უნდა იყოს დროული. ნაადრევი დახმარება უკარგავს ბავშვს დამოუკიდებელი მუშაობის სურვილს, ნაგვიანევი—აღრმავებს ხარვეზს.

საშინაო დავალების შესრულებაში ბავშვს უნდა მივცეთ ინიციატივა. ოჯახურ ვითარებაში შენიშნულია, რომ ბავშვები დამოუკიდებლად უფრო სწორად სწყვეტენ როგორ უნდა მოამზადონ საშინაო დავალება, ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს, კლასის მომზადების დონეს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ამაღლებს მოსწავლის პასუხისმგებლობას საშინაო დავალების შესრულებისადმი.

ბავშვისადმი დახმარების (კონტროლის) საუკეთესო ფორმად უნდა მივიჩნიოთ ოჯახის უფროსი წევრების საქმიანი და ავტორიტეტული ჩარევა ბავშვის სასწავლო თუ სხვა საქმიანობაში, მაგრამ დაუშვებელია, რომ ოჯახში, სადაც უფროსი თაობის რამდენიმე წარმომადგენელია (დედა, მამა, ბებია, პაპა), ყველა თანაბრად უფლებამოსილი იყოს, ეს არღვევს ბავშვისადმი ერთიან მოთხოვნას. ასეთ ოჯახში აღზრდისა და კონტროლის იმდენი «სისტემაა», რამდენი უფროსიც არის, ეს კი საქმისათვის საზიანოა.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რეჟიმით დაწესებული დრო არ იფლანგებოდეს, რომ ბავშვი დავალებას ერთსა და იმავე დროს ასრულებდეს. თუ შენიშნავთ, რომ რეჟიმით განკუთვნილი დრო საკმარისი არ არის, გავარკვიოთ მიზეზები და დავსახოთ დახმარების გზები.

მშობლებმა უნდა დააწესონ კონტროლი მოსწავლის დღიურზე, მოკითხონ ბავშვს სკოლაში სასწავლო თუ სხვა საქმიანობის შესახებ, მაგრამ დიდი ტაქტით. ამ საკითხში არც მეტისმეტი გულგრილობა ვარგა და არც ზედმეტი ცნობისმოყვარეობაა კარგი. ბავშვის მონათხრობის მიმართ მშობელი უნდა იყოს ობიექტური. ხშირად ბავშვს აქვს ტენდენცია—მომხდარი თუ განცდილი ისე გადმოსცემს, როგორც მას აწყობს.

მშობლისა და ბავშვის ოჯახური ურთიერთობის ერთ მხარესაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება: ზომიერება გვმართებს ბავშვის შექებისას, ან გაკიცხვისას. ბავშვის მიერ მიღებული ყოველი «5» მის ცხოვრებაში ტრიუმფისა და ოჯახური ბედნიერების საბაბი არ უნდა გახდეს, ასევე არ შეიძლება გაუთავებელი კიცხვა რაიმე წარუმატებლობისათვის.

ბავშვის მთელი საქმიანობა (საშინაო დავალების შესრულება, გართობა, დასვენება, კოლექტიური და ინდივიდუალური სვლები კინოსა და თეატრში, მონაწილეობა სპორტში და სხვ.) საჭიროებს მშობლის კონტროლს. თუ ბავშვი არღვევს დღის რეჟიმს და ზედმეტად იტვირთავს თავს სპორტით, კინოფილმებით, ტელეგადაცემებით და სხვა, მშობელმა უნდა გამონახოს მასზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებანი.

როდესაც ბავშვი დაწყებითი სკოლის მოსწავლეა, მშობლებს შეუძლიათ ქმედითად დაეხმარონ მას ზეპირი ანგარიშის დაუფლებაში, სწორი კითხვის ჩვევების განმტკიცებაში, ისტორიულ, საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიულ მასალებთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად განუმარტონ ზოგიერთი ცნება. წერითი დავალებების შესრულების წინ ურიგო არ იქნება, თუ ბავშვს შოვათხრობინებთ მასალას, გზადაგზა შევუსწორებთ დაშვებულ შეცდომებს, ისე, რომ არ მოვახვევთ ჩვენს თვალსაზრისს. ამასთან ვზარდოთ ბავშვებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა, დავაკვირვოთ ბუნების მოვლენებზე, გარემო სამყაროზე, შევადგენინოთ ქრონოლოგიური ტაბულები, ვაკითხოთ პოპულარული ლიტერატურა, მოვთხოვოთ წაკითხულისა და ნახულის გარშემო შთაბეჭდილების გაზიარება და სხვა.

ზედა საფეხურებზე—თუ კი ბავშვში გამოვიმუშავეთ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა—კონტროლისა და დახმარების ღონისძიებათა გატარება შედარებით ადვილია.

ამ შემთხვევაში მშობლის მხრივ საშინაო დავალების შესრულებაზე კონტროლი უსათუოდ უნდა განხორციელდეს დიფერენცირებულად, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით. ბევრმა მშობელმა გამოცდილებით იცის, რომ ოჯახში სჭირს ზემოქმედება სხვადასხვა ასაკის ან სქესის ბავშვზე ერთიდაიგივე აღმზრდელობითი საშუალებებით. დახმარებისა თუ კონტროლის ერთნაირი ფორმები ხშირად ერთნაირ შედეგს არ იძლევა.

უფროსკლასელთა საშინაო დავალების შემოწმების ერთ-ერთ ფორმად ითვლება ბავშვის მიერ მასალის თხრობა ჩვენს მიერ წიგნში თვალყურის დევნებით. კონტროლისათვის გამოდგება მასალის ბოლოს დასმული კითხვები, უფრო ადვილი შესამოწმებელია მოსწავლის სიტყვის მარაგი და ახალი სიტყვების ათვისება სქოლიოსა და ლექსიკონის გამოყენებით, ისტორიული თარიღების ცოდნა და სხვა.

ამასთან, საშინაო დავალების მომზადების პერიოდში მასალის ზეპირი გადმოცემით გატაცებამ შეიძლება მიიყვანოს ბავშვი არასასურველ შედეგამდე. ზეპირი გადმოცემისას მოსწავლეს მასალის ცოდნის გარეგნული მხარე, მისი სიტყვიერი სრულყოფა უფრო იტაცებს, ვიდრე მასალის სიღრმე და შინაარსი. თუ ეს ნაკლი საშინაო დავალების შესრულებისას დროულად არ იქნა შენიშნული, მაშინ ბავშვი მიეჩვევა ტექსტის შეუგნებლად, მექანიკურად დასწავლას, ზეპირობას.

მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საშინაო დავალების შესწავლა არ დავიდეს მის უბრალო სიტყვიერ ათვისებამდე, გაზეპირებამდე, ფაქტების უბრალო ცოდნამდე.

თუ მშობელი სუსტად ფლობს ამა თუ იმ საგანს, მაშინ კონტროლის ყველაზე მოქნილი ფორმაა დაინტერესება იმით, თუ როგორ სწავლობს მისი შვილი ამ საგანს, მაგალითად უცხო ენას. მშობელმა კიდევაც რომ არ იცოდეს უცხო ენა, მაინც შეუძლია გაუწიოს კონტროლი ბავშვს საშინაო დავალების შესრულებაზე.

ვფიქრობთ, კონტროლისა და დახმარების ამგვარი ფორმების გატარება დაეხმარება ოჯახს მის წინაშე მდგომი საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრაში.

**ა. მჭედლიძე,**

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

# ბავშვის ძილი

ძილს, მისი რეჟიმის მტკიცედ დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის ჯანმრთელობისა და მისი ზრდა-განვითარებისათვის. ნორმალური ძილი უზრუნველყოფს ცენტრალური ნერვული სისტემის, გრძნობათა ორგანოების, კუნთების დასვენებას. ცნობილია, რომ ბავშვის ნერვული სისტემა გაცილებით სწრაფად ალიგზნება, ვიდრე მოზრდილისა. ამიტომ ბავშვმა მეტი უნდა იძინოს, რომ დაისვენოს მისმა ნერვულმა სისტემამ და აღიდგინოს დახარჯული ძალები.

ჩვეულებრივად ახალშობილი ბავშვი მხოლოდ კვების დროს იღვიძებს. დანარჩენ დროს სძინავს. მაგალითად, პირველ 3-5 კვირის ასაკში ბავშვის ძილის ხანგრძლივობა ნორმალურად 19-20 საათია, დღისით და ღამით თითქმის თანაბარი რაოდენობით იძინებს იგი.

ბავშვის ზრდასთან, მისი ნერვული სისტემის მომაგრებასთან ერთად თანდათან მცირდება ძილის ხანგრძლივობა და იგი ასეთ სურათს უნდა გვაძლევდეს:

| ბავშვის ასაკი | დღე-ღამის ძილის ხანგრძლივობა | დღის ძილის ხანგრძლივობა | ღამის ძილის ხანგრძლივობა | ღამით დაძინების დრო |
|---|---|---|---|---|
| 1-2 თვის ასაკი | 18 ს. 30 წ. | 6 ს.—ოთხჯერ—1 1/2-1 1/2 საათი | 12 ს. 30 წ. | 5 ს. 30 წ. |
| 3-4 თვის „ | 17 ს. 30 წ. | 6 ს.—სამჯერ—2-2 საათი | 11 ს. 30 წ. | 6 ს. 30 წ. |
| 5-6 თვის „ | 16 საათი | 6 ს.—სამჯერ—2-2 საათი | 10 ს. | 8 ს. |
| 7-8 თვის „ | 14 ს. 30 წ. | 4 ს. 30 წ.—სამჯერ—1 1/2-1 1/2 ს. | 10 ს. | 8 ს. |
| 9-10 თვის „ | 14 ს. | 4 ს.—ორჯერ | 10 ს. | 8 ს. |
| 10 თვიდან—1 წ. 3 თვემდე | 13 ს. 30 წ. | 3 ს. 30 წ.—ორჯერ | 10 ს. | 8 ს. |
| 1 წ. 3 თ.—1 წ. 6 თვ. | 13 ს. | 3 ს.—ორჯერ | 10 ს. | 8 ს. |
| 1 წ. 6 თ.—1 წ. 10 თვ. | 12 ს. | 2 ს.—ერთხელ | 10 ს, | 8 ს. |
| 2—3 წლამდე | 11 ს. 30 წ. | 1 ს. 30 წ.—ერთხელ | 10 ს. | 8 ს. 30 წ. |
| 3 – 4 წლამდე | 11 საათი | 1 ს. 30 წ.—ერთხელ | 9 ს. 30 წ. | 8 ს. 30 წ, |

ბავშვები საერთოდ 7 წლის ასაკამდე დღისით აუცილებლად უნდა იძინებდნენ 1 1/2 საათს. დღის ძილი უნდა ტარდებოდეს სადილის შემდეგ, ხოლო თუ სადილს გვიან ვაძლევთ, მეორე საუზმის შემდეგ.

თუ ამ ასაკის ბავშვები დღისით არ იძინებენ(რაც მეტად არასასურველია), მაშინ ერთი საათი უნდა დაემატოს ღამის ძილს.

დაწოლისა და ადგომის დრო განისაზღვრება ბავშვის ასაკის მიხედვით. კარგად გამოძინებული ბავშვი თვითონვე იღვიძებს. ბავშვი, რომელსაც სხვა აღვიძებს, უმეტეს შემთხვევაში გამოუძინებელია, ესეიგი, მის ორგანიზმში ჯერ კიდევ არ არის წინა დღით დახარჯული ენერგია მთლიანად აღდგენილი, რაც ბავშვის გუნება-განწყობასა და მადაზე მოქმედებს. ბავშვში კლებულობს შეთვისების უნარი, ის ადვილად იღლება და თუ ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ეს უკანასკნელი გავლენას ახდენს ბავშვის ნერვულ სისტემაზე და, საერთოდ, ჯანმრთელობაზე.

ძილის რეჟიმის ზუსტი შესრულება უზრუნველყოფს შემდეგ ბავშვის მშვიდსა და მხიარულ ხასიათს მთელი დღის განმავლობაში.

ძილის რეჟიმის შედგენისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არამარტო ბავშვის ასაკი, არამედ მისი ჯანმრთელობა და ინდივიდუალური თავისებურებანი. ფიზიკურად სუსტი ბავშვი ჩქარა იღლება და ამიტომ უფრო ხშირ და ხანგრძლივ დასვენებას ითხოვს. ასეთ შემთხვევაში მოზრდილი ასაკის ბავშვს უნიშნავენ უფრო მცირე ასაკის ბავშვის ძილის რეჟიმს (სანამ იგი არ გამოჯანსაღდება). არიან ბავშვები, რომლებიც ფიზიკურად ძლიერნი არიან, მაგრამ რატომღაც მალე იღლებიან, ასეთი ბავშვები უნდა დავაწვინოთ უფრო ადრე, რომ უფრო ხანგრძლივად იძინონ.

წლის დროსთან დაკავშირებით, საჭიროა ძილის რეჟიმის შეცვლა. მაგალითად, ზაფხულში 2-3 წლის ბავშვები საღამოს 8ს. 30 წ. ზოგჯერ ვერ იძინებენ. ასეთ შემთხვევაში უფრო გვიან უნდა დავაძინოთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ დღის ძილი ექნებათ გადიდებული. ძილის რეჟიმი, ესე იგი დაძინებისა და გაღვიძების დრო, შესაძლოა იცვლებოდეს ამათუიმ პირობების გამო, მაგრამ ძილის ხანგრძლივობა მაინც უცვლელი უნდა დარჩეს.

ძილის ნორმალურ და რითმულ მიმდინარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთ შემთხვევაში ბავშვში გამომუშავდება და განმტკიცდება დაძინების, ძილის ხანგრძლივობისა და გაღვიძების პირობითი რეფლექსები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის და მოზარდის ნერვული სისტემის განვითარებისათვის.

ბიბლიოთეკა

დაწოლის წინ ბავშვს აუცილებლად უნდა დავბანოთ ხელები, პირი, კისერი, ყურები, ფეხები და სხვა. ბავშვის დაძინების წინ ტუალეტი სისტემატურად უნდა ტარდებოდეს და თან ისე, რომ ბავშვისათვის ნაძალადევი კი არა, სასიამოვნოც იყოს, როგორც ჩვეული აუცილებლობა, ამიტომ ტუალეტის ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ძილის რეფლექსის გამოსაწვევად, რაც ხელს უწყობს მის ჩქარ დაძინებას. დაძინებისას ბავშვს წყნარად, ალერსიანად უნდა მოვეპყროთ.

არ არის სასურველი, რომ მცირე ასაკის ბავშვი რწევას, ხელში ტარებას, სათამაშოს მიცემას, ძუძუთი ან საწოვრით დაძინებას შევაჩვიოთ. ასეთ ჩვევებს ბავშვი ადვილად ითვისებს და უარყოფითი რეფლექსები უვითარდება, რომლის გადაჩვევა შემდეგში ძნელია.

სასურველია, რომ ბავშვის საწოლი მოთავსებული იქნას ცალკე ოთახში, თუ ამის შესაძლებლობა არ არის, აუცილებელია მას ცალკე საწოლი მაინც ჰქონდეს. როცა ბავშვი მარტო არ წევს, მის ორგანიზმში სითბოს რეგულაცია ირღვევა, ადგილი აქვს გადახურებას, ნერვული სისტემის აღგზნებას, ირღვევა ბავშვის ღრმა ძილი, ფერხდება ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესები, ეს კი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე.

ლოგინის თეთრეული უნდა იცვლებოდეს კვირაში ერთხელ, ისევე, როგორც ბავშვის საცვლები. ბავშვი გამართული უნდა იწვეს, საწოლი ზომით უნდა ეფარდებოდეს ბავშვის სიმაღლეს 29-30 სანტიმეტრის დამატებით. ლეიბი უმჯობესია იყოს ზღვის ბალახის ან ბამბის, შეიძლება მატყლისაც. მიუღებელია ბუმბულის ლეიბი, რადგან იგი იწვევს ბავშვის ორგანიზმის გადახურებას. ლოგინი არც ძალიან რბილი იყოს და არც ძალიან მაგარი. დროგამოშვებით, წელიწადში ორჯერ, მატყლი უნდა გაირეცხოს, ბამბა და ზღვის ბალახი გამოიცვალოს. მიღებულია, რომ ლეიბის სიგანე და სიგრძე სრულად არ



ფოტო ე. სუსუნიკაშვილის

ფარავდეს საწოლს, საბნის სიგრძე ბავშვის სიმაღლეს უნდა აღემატებოდე 40 სმ-ით, სიგანით კი საწოლის სიგანის ორმაგი ზომისა უნდა იყოს.

ბავშვი ძილის წინ ერთი საათით ადრე უნდა ავარიდოთ დაძაბულ გონებრივ დატვირთვას, ხმაურიან თამაშსა და აღგზნებას; სასურველია ძილისწინა დრო გამოყენებულ იქნას სუფთა ჰაერზე გასეირნებისათვის (15-20 წუთით). ძილის წინ დასაშვებია მხატვრული ლიტერატურის წაკითხვა, წყნარი თამაში, მშობლებთან დამშვიდებული საუბარი და სხვა. არ შეიძლება ბავშვს ძილის წინ გავუჯავრდეთ ან ატირებული და აღგზნებული დავაწვინოთ. ასევე არ შეიძლება მივცეთ ნერვული სისტემის აღმგზნები ნივთიერებები, როგორიცაა: შოკოლადი, ნატურალური ყავა, მაგარი ჩაი. ბავშვის ვახშამი უნდა იყოს რაც შეიძლება მსუბუქი, ადვილად მოსანელებელი. ოთახში, სადაც ბავშვს ვაძინებთ, არ უნდა ხმაურობდეს რადიო და არ ენთოს ძლიერი სინათლე.

სუფთა ჰაერით სუნთქვა აუცილებელია ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისათვის. მზის სხივები, კერძოდ, ულტრაიისფერი სხივები აუცილებელია ბავშვისათვის. კარგია ბავშვები იძინებდნენ ღია აივნებზე ზამთარში, გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ბავშვი, რომელიც ჰაერზე იზრდება, ჯანსაღია და ვარდისფერი, სისხლში მას ჰემოგლობინის ნორმალური რაოდენობა აქვს.

ბავშვის ღია ჰაერზე ძილის ორგანიზაციის მიზნით საჭიროა საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა საძინებელი სათავსოების, შუშაბანდის, აივნების და ეზოში ღია ფარდულების მოწყობა ისე, რომ ისინი დაცულ იქნენ წვიმის, თოვლის და მზის ჭარბი სხივებისაგან. საქართველოში ბავშვებს მთელი წლის განმავლობაში შეუძლიათ იძინონ სუფთა ჰაერზე. წლის დროისა და ამინდის მიხედვით, ჰაერზე ძილი შეიძლება სხვადასხვა სახით, სახელდობრ: მშრალი შემოდგომისა და გვიანი ზამთრის დღეებში, ასევე გაზაფხულის პერიოდში ბავშვის დაძინება შეიძლება ბაღში ან მზიან ღია აივანზე. ცუდ, ძლიერ ყინვიან ამინდში ბავშვს დღისით დავაწვენთ შუშაბანდში, თუ ის არა გვაქვს, მაშინ ბავშვს თბილად ჩავაცმევთ და სარკმლებგაღებულ ოთახში დავაძინებთ.

ზამთარში კარგია თუ ბავშვს შევახვევთ საძინებელ ტომარაში (რომელიც შეკერილია ბამბისაგან). ბავშვი ოთახში უნდა შევხვიოთ, ჩავაცვათ ტანსაცმელი, თავი გავუკრათ თავსაფრით და დავახუროთ მოქსოვილი ქუდი, ქვეშსაფენსა და კონვერტს შორის მუშამბას ჩავფენთ. ბავშვს ჰაერზე ძილის დროს მხოლოდ ცხვირი უნდა უჩანდეს.

პატარა ბავშვი სუფთა ჰაერს თანდათანობით უნდა შევაჩვიოთ. თბილ ამინდში ბავშვების გამოყვანა ჰაერზე შეიძლება 5-6 კვირის ასაკში, ზამთარში კი 2-2 1/2 თვის ასაკში. დასაწყისში ბავშვი უნდა გამოვიყვანოთ სუფთა ჰაერზე დღეში ერთხელ 20-40 წუთი. ჩაიძინებს თუ არა ბავშვი, ფრთხილად შევიყვანთ ოთახში, ამოვიყვანთ საძილე ტომრიდან ან ბამბის საბნიდან, დავაწვენთ საწოლზე, იგი აქაც განაგრძობს ღრმა ძილს. თუ ჰაერზე ძილი უარყოფით გავლენას არ ახდენს ბავშვზე, მაშინ ჰაერზე ძილის დრო თანდათანობით უნდა გავზარდოთ. 3-3 1/2 თვიდან—9-10 თვემდე ბავშვს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე უნდა ვაძინებდეთ. 10 თვიდან და ზევით ბავშვის დღე-ღამის ძილი ტარდება სუფთა ჰაერზე.

საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ სუსტ და ნაავადმყოფარ ბავშვებს. სიცხიანი ბავშვები ექიმის ნებართვით უნდა გამოვიყვანოთ ჰაერზე დასაძინებლად. ჰაერზე ძილის დროს სერიოზული ყურადღება ექცევა ბავშვის გახდა-დაწოლას და ჩაცმა-ადგომას. ბავშვს, გარეთ გაყვანამდე, ოთახში უნდა ჩავაცვათ, ხოლო გამოღვიძების შემდეგ ოთახში დავაბრუნოთ, გავხადოთ და ჩავაცვათ ამინდისა და ჰაერის ტემპერატურის შესაბამისად. ტანსაცმელი იფარავს ბავშვს გაციება-გადახურვებისაგან. გარდა ამისა, ტანსაცმელმა არ უნდა შეაფერხოს სუნთქვა და სისხლის მიმოქცევა. ზამთარში ბავშვი ჯერ საბანში უნდა შეხვიოთ და შემდეგ—საძილე ტომარაში, ზაფხულში კი პერანგსა და ზეწარში. შეხვეულ ბავშვს თავისუფლად უნდა შეეძლოს სუნთქვა და ხელებისა და ფეხების მოძრაობა.

ჰაერზე ძილის დროს ბავშვს გაძლიერებული ზედამხედველობა სჭირდება, რომ წლის ცივ დროში არ გადაიხადოს, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულში არ მიიღოს ჭარბი სხივები. თუ ბავშვი ტირის, უნდა დაზუსტდეს ტირილის მიზეზი (შეიცვალოს მდგომარეობა, გაისინჯოს საცვლები და სხვა). თუ ბავშვმა ადრიანად გამოიღვიძა, უნდა ვეცადოთ ძილი შევაბრუნებინოთ.

ყველა ზემოჩამოთვლილი წესის დაცვა აუცილებელი პირობაა ბავშვის ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის.

**რუსუდან დარსაველიძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.





# საზაფხულო





# მოდები





ჟურნალი „ოდივანი"—ჩეხოსლოვაკია








# ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება

## გაკვეთილი მეორე

## ბავშვთა ტანსაცმელი

ბავშვთა ტანსაცმელი იყოფა სამ საასაკო ჯგუფად

| ჯგუფი | წლოვანება | ზომა |
|---|---|---|
| 1. ბაგის ასაკი | 3 წლამდე | 20—24 |
| 2. სკოლამდელი ასაკი | 4—7 წლამდე | 26—30 |
| 3. სასკოლო ასაკი | 8—16 წლამდე | 32—44 |

თვითეული ჯგუფის შესაბამისად საშუალოდ შეიძლება გამოვიყენოთ
1. ბაგის ასაკის ბავშვებისათვის—22 ზომა.
2, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის-28 ზომა.
3, სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის—38 ზომა.

### ბავშვის საცვლები

### ძუძუმწოვარა ბავშვის განიერი პერანგი

(თარგის შედგენა. ნახაზი № 6)

ძუძუმწოვარა ბავშვისათვის მიზანშეწონილია ბოლომდე ჩაჭრილი პერანგი, რომელიც ზონრებით იკვრება. საცვლები იკერება თხელი და რბილი ქსოვილისაგან, ხელით (ვინაიდან ხელით ნაკერი უფრო რბილია, ვიდრე მანქანით). პერანგის ზომა დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე.

(იხ. ტაბულა № 2).

ტაბულა № 2

| ბავშვის ასაკი | პერანგის სიგრძე | პერანგის სიგანე |
|---|---|---|
| 2 თვემდე . . . . | 24 სმ | 26 სმ |
| 2 დან 6—თვემდე . | 26 სმ | 28 სმ |
| 6 თვიდან—1 წლამდე | 28 სმ | 30 სმ |

№ 6 ნახაზი შეეფარდება ტაბულაში ნაჩვენებ პერანგის მესამე ზომას. თარგს ვადგენთ შემდეგი ზომების მიხედვით:

1. გულმკერდის წრეხაზი—60 სმ
2. პერანგის სიგრძე—28 სმ
3. სახელოს სიგრძე—7 სმ

გულმკერდის წრეხაზის ანაზომი ყოველთვის უნდა გავყოთ 4-ზე:

60:4=15

მიღებულ რიცხვს (15) გადავზომავთ მარჯვნივ ა-წერტილიდან (იხ. ნახ. № 6), იმავე წერტილიდან ჩამოვზომავთ პერანგის სიგრძეს (28 სმ) და ვადგენთ ოთხკუთხედს.

გულმკერდის წრეხაზს ვყოფთ 6-ზე

60:6=10

მიღებულ რიცხვს (10) ვუმატებთ 2 სანტიმეტრს და 12 სმ ჩამოვზომავთ წერტილ 15-დან ქვევით.









ეროვნული ბიბლიოთეკა







15 და 12 წერტილებიდან მარჯვნივ გადავზომავთ სახელოს სიგრძეს 7 სანტიმეტრს. სახელოს სიგანე იქნება 12 სანტიმეტრი.

იღლიის ხაზის გამოსაყვანად წერტილ 12-დან მარჯვნივ და ქვევით გადავზომავთ ოთხ-ოთხ სანტიმეტრს და მიღებულ წერტილებს შევაერთებთ მრუდი ხაზით. სისრულისათვის პერანგს დაბლა ვუმატებთ 2 სანტიმეტრს. 2-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს და ვაერთებთ სახაზავით წერტილ 4-თან.

პერანგის საყელოს წინა მხარის გამოსაყვანად ა-წერტილიდან გადავზომავთ მარჯვნივ 5 სანტიმეტრს.

წერტილ ა-დან სიგრძის ხაზზეც ჩამოვზომავთ 5 სანტიმეტრს, ხუთებით აღნიშნულ წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით. პერანგის საყელოს უკანა მხარის გამოსაყვანად წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ სიგრძის ხაზზე 3 სანტიმეტრს და ამ წერტილს ვაერთებთ 5-თან მრუდი ხაზით. 2,6,5,3,4,1 მუდმივი ციფრებია და იხმარება სხვა ზომების პერანგების თარგების შედგენის დროსაც.

## ძუძუმწოვარა ბავშვის პერანგის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ძუძუმწოვარა ბავშვის განიერი პერანგის გამოსაჭრელად ქსოვილს ჯერ ვაუთავებთ, შემდეგ ვკეცავთ ოთხად, გამოჭრილ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით ვამაგრებთ, გვერდებში ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს ვუმატებთ, სახელოს გადასაკეცად—2 სანტიმეტრს. გამოჭრას ვიწყებთ მარჯვნიდან. ჯერ ამოიჭრება საყელოს უკანა მხარე, შემდეგ ქსოვილს გავშლით, ამოვჭრით საყელოს წინა მხარეს და ჩავჭრით წინ ბოლომდე.

არსებობს საცვლების კერვის ორი წესი, პირველი წესის მიხედვით ქსოვილის ორ ფენას ვადებთ ერთმანეთს. გასაკერ ადგილებში ქსოვილის ერთ ფენას მეორეს ვაცილებთ ნახევარი სანტიმეტრით და ვკერავთ მანქანით, გადმოვკეცავთ ბრტყელ პირს და ამოვუხვევთ. ხოლო მეორე წესით ქსოვილის ორ ფენას ზუსტად ვადებთ ერთმანეთს, გავკერავთ კარგ პირზე, ავაჭრით გამოძენძილ ძაფებს, გადავაბრუნებთ და ისევ გავკერავთ. სიგანის ხაზი წერტილ 5-დან 7-მდე და სიგრძის ხაზი წერტილ 3-დან 28-მდე გაუჭრელია, ხოლო 5-დან 28-მდე (ე. ი. პერანგის წინა მხარე) ბოლომდე იჭრება.

## ბავშვის თავსაბურავი („ჩეპჩიკი")

თარგის შედგენა. ნახაზი № 7

თავსაბურავის თარგის შესადგენად უნდა ავზომოთ თავის წრეხაზი. ამ ზომას ყოველთვის ვყოფთ ორზე. დავუშვათ თავის წრეხაზის ანაზომი უდრის 33 სანტიმეტრს

33:2=16,5

მიღებულ რიცხვს 16,5 ჩამოვზომავთ ა-წერტილიდან სიგრძის ხაზზე. თავსაბურავის სიგანის დასადგენად თავის წრეხაზის ანაზომს ვყოფთ მუდმივად 3-ზე

33:3=11

მიღებულ რიცხვს (11) გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ და ვადგენთ ოთხკუთხედს. მარჯვენა 16,5 წერტილიდან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს, და მიღებული წერტილიდან მარცხნივ ისევ გადავზომავთ 2 სანტიმეტრს. ამ უკანასკნელ წერტილს ვაერთებთ 11-თან მრუდი ხაზით და სწორი ხაზით კი 16,5-თან.

ჩანაკერისათვის (ვიტოჩკა) წერტილ 16,5-დან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სანტიმეტრს, ჩანაკერის სიგრძისათვის კი წერტილ 4-დან ავზომავთ 7 სანტიმეტრს. წერტილ 4-დან მარჯვნივ ჩასაკერად გადავზომავთ 2 სანტიმეტრს და ვაერთებთ წერტილ 7-თან სწორი ხაზით.

ამით მთავრდება თავსაბურავის წინა ნაწილის თარგის შედგენა.

## თავსაბურავის უკანა ნაწილი

თავსაბურავის უკანა ნაწილის თარგის შესადგენად წინა ნაწილის სიგანეს ვყოფთ ორზე

11:2=5,5

და მიღებულ რიცხვს 5,5 გადავზომავთ 5-წერტილიდან მარჯვნივ. შემდეგ ა-წერტილიდან ქვევით ჩამოვზომავთ 11 სანტიმეტრს და ვადგენთ ოთხკუთხედს. წერტილ 5,5-დან გადავზომავთ მარცხნივ და ქვევით 2-2 სანტიმეტრს და მიღებულ წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით. წერტილ 11-დან მარცხნივ გადავზომავთ 2 სანტიმეტრს და მიღებულ წერტილს ვაერთებთ სწორი ხაზით წერტილ 2-თან.

## თავსაბურავის გამოჭრისა და შეკერვის წესი

როგორც წინა, ისე უკანა კალთისათვის ქსოვილს ვკეცავთ ორად. მასზე ქინძისთავებით ვამაგრებთ თარგს, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს, წინა ნაწილს ორ სანტიმეტრს და ვჭრით. ძუძუმწოვარა ბავშვის თავსაბურავი სასურველია შეიკეროს ხელით კარგი პირიდან, მოზარდთა თავსაბურავი მანქანით იკერება.

თავსაბურავის წინა ნაწილი წერტილ ა-დან წერტილ 11-მდე გაუჭრელია. ასევე გაუჭრელია თავსაბურავის უკანა ნაწილი წერტილ ა-დან წერტილ 11-მდე.

## ძუძუმწოვარა ბავშვის გულსაფარი

(თარგის შედგენა. ნახაზი № 8)

ძუძუმწოვარა ბავშვის გულსაფრის თარგის შესადგენად ა-წერტილიდან მარჯვნივ მუდმივად გადაიზომება 11 სანტიმეტრი; ასევე ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ სიგრძეს 25 სანტიმეტრს და ვადგენთ ოთხკუთხედს. ა-წერტილიდან სიგრძის ხაზზე ჩამოვზომავთ 12 სანტიმეტრს; ამ რიცხვს მუდამ ვყოფთ 3-ზე.

12:3=4

და მიღებულ რიცხვს (4-ს) ავზომავთ ზევით 12 წერტილიდან და ჩამოვზომავთ ქვევით ა-წერტილიდან. წერტილ ა-დან მარჯვნივ გადავზომავთ 2 სანტიმეტრს და წერტილ ზემო 4-დან მარჯვნივ გადავზომავთ 1 სანტიმეტრს. მიღებულ წერტილს (1) სწორი ხაზით ვუერთებთ წერტილ 2-ს. ქვედა 4-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სანტიმეტრს და მიღებულ წერტილს მრუდი ხაზით ვაერთებთ წერტილ 1-თან და 12-თან. სიგრძის ხაზის ბოლო წერტილიდან 25 ქვევით ჩამოვზომავთ 3 სანტიმეტრს და მარჯვენა წერტილ 25-დან მარცხნივ გადავზომავთ 2 სანტიმეტრს. მარჯვენა ზემო 4-წერტილიდან მარცხნივ ისევ გადავზომავთ 2 სანტიმეტრს. აღნიშნულ წერტილებს (2,2,4,12,2,3) ვაერთებთ მრუდი ხაზით.

## გულსაფრის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ქსოვილს სიგრძეზე ვკეცავთ ორად და მასზე ქინძისთავებით ვამაგრებთ თარგს. ვუმატებთ ნაკერისათვის ნახევარ სანტიმეტრს და ვჭრით. გულსაფრის გარშემო და საყელოზე ვადებთ ირიბ ნაჭერს გადასაკეცად. გულსაფრის სიგრძის ხაზი წერტილ 12-დან წერტილ 3-მდე გაუჭრელია, დანარჩენი ხაზები კი იჭრება.

ა ვ ტ ო რ ი ტატიანა გურგენიძე,
კ ო ნ ს უ ლ ტ ა ნ ტ ი ვანო ტაბიძე.

# შენთვის, დიასახლისო

კარგია არა, როცა ოთახში ცოცხალი და სურნელოვანი ყვავილები შემოგხარიან? განსაკუთრებით კი ზამთარში, როცა, საერთოდ, ყვავილების ნაკლებობაა. გახსოვდეს, რომ თუ სათუთად და მზრუნველობით მოეპყრობი, შეგიძლია დიდხანს აცოცხლო ისინი.

მაგალითად, იები და იორდასალამი შაქარწყალში ინახება კარგად, მინდვრის ყვავილები —მლაშე წყალში. საერთოდ კი, ლარნაკში ჩასხმული რამდენიმე წვეთი ქაფური ან სულ ცოტა ხის ნახშირი დაჭკნობისაგან დაიცავს ყოველგვარ ყვავილს.

* * *

არ გებრალება წიგნი, როცა მის ფურცლებზე ქონის ლაქებს ამჩნევ? თითქოს თვითონვე შემოგღაღადებს: «მიშველე, ამ ტანჯვისაგან გამანთავისუფლეო.» ჰოდა, შენც უშველე! გაქონილ ფურცელს შემწოვი ფხვნილი დააყარე, მაგალითად, სალმანდი (ტალკი), შემდეგ ორ საშრობს შუა მოათავსე და ზემოდან ცხელი უთო გადაუსვი.

* * *

ხომ მშვენიერია ხვლიკის ან ნიანგის ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმელი? გაწმენდილი ის კიდევ უფრო ლამაზია. ამიტომ დროგამოშვებით გადაუსვი მას სუფთა სასაქმებელ ზეთში გაჟღენთილი ფანელი.

* * *

ლაქის ფეხსაცმელი სიცივეში ადვილად სკდება. მას ისევე ესაჭიროება კვება, როგორც ადამიანს. ამიტომ წაუსვი მას რძე ან ნელთბილი გაწმენდილი სასაქმებელი ზეთი.

* * *

ხილის წვენით დალაქავებული სუფრა და ხელსახოცები ცუდ დიასახლისზე მიგვითითებს. რატომ უნდა დაირქვა «ცუდი დიასახლისი», როცა ამ უსიამოვნების თავიდან აცილება სულ უბრალოდ შეიძლება: გარეცხვამდე სუფრის თეთრეული ჩაჰყარე ნიშადურის სპირტნარევ ნელთბილ წყალში. შემდეგ ჩაუმატე გლიცერინი და დასტოვე ასე ერთი ან ორი საათით. მხოლოდ ამის შემდეგაა მისი გარეცხვა საჭირო.

* * *

თუ შალეულის გარეცხვა გსურს, რამდენჯერმე ამოავლე სუროს ნახარშში, მაშინ ის პეწს არ დაჰკარგავს.

ფრანგული ჟურნალიდან—«შე ვუ».

თარგმნა გურანდა კალანდაძემ

# ვპასუხობთ მკითხველებს

## გაზი

ა. ორთოიძის, ს. ნაზუცრიშვილის, ტ. ოვანესოვას (თბილისი) შეკითხვებზე.

გაზი იაფი, მაღალკალორიული და მოხერხებული სათბობია, რომელსაც სულ მალე მთელი ჩვენი ქალაქის მოსახლეობა მიიღებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ გაზით სარგებლობის დროს აუცილებელია დადგენილი წესების მტკიცედ დაცვა. გაზის არაფრთხილი, დაუდევარი ხმარება შეიძლება მრავალი უბედური შემთხვევის მიზეზი გახდეს, როგორიცაა, მაგალითად, მოწამვლა, აფეთქება, ხანძარი.

როგორ ავანთოთ გაზქურა? ასანთს მოუკიდეთ, დაიჭირეთ ის ცალ ხელში, ხოლო მეორე ხელით გახსენით სანთურის ონკანი. სწრაფად მიიტანეთ ანთებული ასანთი სანთურასთან. გაზს ყოველ ნასვრეტთან უნდა მოეკიდოს ცეცხლი. თუ გაზს რატომღაც ცეცხლი არ მოეკიდა, სწრაფად გადაკეტეთ ონკანი, რომ გაზი არ გაიპაროს. შემდეგ ხელმეორედ აანთეთ ასანთი, გააღეთ ონკანი და სცადეთ ისევ მოუკიდოთ. არ შეიძლება ასანთის ანთებამდე ონკანის მოშვება, თორემ შესაძლოა გაზი გამოვიდეს და აფეთქება მოხდეს.

გაზქურაზე ჭურჭელი მჭიდროდ არ უნდა იდგეს ცეცხლთან. თუ გაზქურაზე სარეცხიან ქვაბს ან ფართოძირიან ტაფას დგამთ, ამათ ქვევიდან აუცილებლად უნდა შეუდგათ სპეციალური რგოლი, რომ ცეცხლის ალი უშუალოდ ჭურჭელს არ ხვდებოდეს. ალი იმ ზომაზე უნდა დააყენოთ, რომ ჭურჭლის ქვემოდან გვერდებზე არ ამოდიოდეს. ეს არ აჩქარებს გაცხელებას და მხოლოდ გაზის ზედმეტ ხარჯვას იწვევს.

როგორც კი კერძი წამოდუღდება, ცეცხლის ალს დაუკელით და ხარშვა უფრო დაბალ ცეცხლზე განაგრძეთ.

თუ გაზქურის ჩაქრობა გსურთ, ონკანი ბოლომდე გადაწიეთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სანთურის სულის ჩაბერვით ჩაქრობა.

გაზქურის ჰაერღუმელით სარგებლობა შეიძლება სანთურის დანთებიდან 10—15 წუთის შემდეგ. ამ დროის განმავლობაში ჰაერღუმელი საკმაოდ გახურდება. როცა ჰაერღუმელით არ სარგებლობთ, თვალყური უნდა ადევნოთ, რომ სანთურის ონკანი მჭიდროდ იყოს გადაკეტილი, თორემ შესაძლოა გაზი ჰაერღუმელში დაგროვდეს და აფეთქდეს.

როცა ჰაერღუმელში კერძს ან ნამცხვარს ამზადებთ, კარები ხშირად არ უნდა გააღოთ, რომ თბილი ჰაერი არ გამოვიდეს და ჰაერღუმელი არ გაგრილდეს.

თუ ჰაერღუმელი ზედმეტადაა გავარვარებული და მისი გაგრილება გსურთ, დადგით შიგ ცივი წყლით სავსე ქვაბი.

სისუფთავე პირველი პირობაა გაზქურის კარგი მუშაობისათვის. გაზქურა სამაგალითოდ უნდა იყოს მოვლილი. სანთურა არ უნდა გაჭუჭყიანდეს (განსაკუთრებით დაღვრილი კერძით). ქურის მომინანქრებული ნაწილები ხშირად გაწმინდეთ სველი ჩვრით, შემდეგ კი დაფარეთ ვაზელინის თხელი ფენით. სანთურა თვეში ერთხელ მაინც გარეცხეთ თბილი საპნიანი წყლით. ასევე გარეცხეთ და გრაფიტით გახეხეთ გაზქურის თუჯის ნაწილები.

# როგორ გავრეცხოთ ბუმბული

თ. ზანდუკელის (ქუთაისი) და ნ. გენძეხაძის (წულუკიძე) შეკითხვაზე.

ბუმბული ცხელ წყალში უნდა გაირეცხოს, რომელშიც წინასწარ საპონს აქაფებენ.

ბუმბულს მარლის პარკში ჩააწყობენ და ვარცლში ან აბაზანაში რეცხავენ. რეცხვისას ბუმბულს გულდაგულ ურევენ და ხანდახან ხელით წურავენ. ქაფიან წყალს ორსამჯერ უცვლიან, შემდეგ ამავე პარკით რეცხავენ ჯერ ცხელ, მერე თბილ და სულ ბოლოს ცივ წყალში. აშრობენ პარკიანად, ჰაერზე ჯერ ჩრდილში, შემდეგ მზეზე. მაღალი ტემპერატურისაგან ბუმბული იპენტება, მსუბუქი და ღუნღულა ხდება.

ბუმბული რომ საპირეში არ გამოძვრეს, საპირეს წინასწარ ალბობენ წყალში გახსნილ ხელის საპონში და შემდეგ აუთოვებენ. კარგად გამშრალ ბუმბულს საპირეში აწყობენ და კერავენ.

გარეკანის პირველ გვერდზე—
«ყვავილთა დედოფალი»
გარეკანის მეოთხე გვერდზე—
«ზოოპარკში»
ფოტოეტიუდი ე. იგნატიევას

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V-60 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 35.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 630, უე 02322.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ლ. შენგელია

# მართლმსაჯულება

ეთიოპური ზღაპარი

ერთი დედაკაცი თავის ცხვრებს დაეძებდა, რომლებიც ფარას ჩამორჩნენ. ქალი დიდხანს დაეხეტებოდა მინდვრებში, მაგრამ ცხვრები არ ჩანდნენ. ბოლოს მიადგა კოცონს, რომელიც ყრუს გაეჩაღებინა და ყავას ხარშავდა.

— ხომ არ მოგიკრავს თვალი ჩემი ცხვრებისთვის?— შეეკითხა დედაკაცი.

ყრუმ ვერ გაიგო შეკითხვა და მდინარისკენ გაიშვირა ხელი, რადგან იფიქრა, რომ მას ეკითხებიან თუ სად არის წყალი. ქალმა მადლობა გადაუხადა ყრუს, წავიდა მდინარის მიმართულებით და გზაში წააწყდა თავის დაკარგულ ცხვრებს. ყველა უკლებლად იყო, მხოლოდ ერთ ბატკანს მოსტეხოდა ფეხი.

ქალმა ხელში აიყვანა ფეხმოტეხილი ბატკანი და გახარებული, რომ დაკარგული იპოვნა, სახლისკენ გამობრუნდა. როდესაც ყრუს მიუახლოვდა, ნახა, რომ ის ყავას შეექცეოდა. მადლობის ნიშნად, გადაწყვიტა ფეხმოტეხილი ბატკანი ეჩუქებინა, მაგრამ ყრუმ ქალის ვერცერთი სიტყვა ვერ გაიგო, ხოლო როდესაც ქალმა ბატკანი გაუწოდა საჩუქრად, ყრუმ იფიქრა: ბრალს მდებს ბატკნის დაზიანებაშიო და გაბრაზდა.

— მე აქ არაფერ შუაში ვარ!—შეყვირა მან.

— ცხვრები სწორედ იქ ვიპოვე, სადაც თქვენ მიმითითეთ, ამიტომ მადლობის ნიშნად გთხოვთ მიიღოთ ეს ბატკანი საჩუქრად!—უთხრა ქალმა.

— ცილს ნუ მწამებთ!—დაიღრიალა ყრუმ,—მე არ მომიტეხია ფეხი თქვენი ბატკნისთვის.—ამ სიტყვებთან ერთად ბრაზმორეულმა ქალს სახეში სილა გააწნა.

— ხალხნო, ხედავთ!—მიმართა გამწარებულმა დედაკაცმა გამვლელებს:—ამ კაცმა მცემა! მე მას უნდა ვუჩივლო, გთხოვთ დამიმოწმოთ!

მოწმენი დედაკაცს მოსამართლესთან გაჰყვნენ. მოსამართლემ პირველად მომჩივანს მოუსმინა, შემდეგ ყრუს და ბოლოს მოწმეებს. უსმენდა მათ და თანაც თავს იქნევდა, თუმცა ეს არაფერს არ ნიშნავდა. მოსამართლე გარდა იმისა, რომ თვითონაც ყრუ იყო, ელამიც აღმოჩნდა. მან ვერცერთის ნათქვამი ვერ გაიგო. დაბოლოს ხელი მაღლა აღმართა და ყველანი სმენად გადაიქცნენ. გამოცხადდა განაჩენი:

— ასეთი ოჯახური კინკლაობა შეურაცხყოფას აყენებს ეკლესიას და სარწმუნოებას,—მაღალფარდოვნად განაცხადა მოსამართლემ. შემდეგ მოუბრუნდა ყრუს:—ამიერიდან გახსოვდეს, ცუდად არ უნდა მოეპყრო ცოლს. შენ კი,—მიმართა მოსამართლემ მომჩივან დედაკაცს,—არ უნდა იზარმაცო, ქმარს საუზმე დროულად უნდა მოუმზადო!

— აი, ჭეშმარიტი მართლმსაჯულება!—გადაულაპარაკეს მოწმეებმა ერთმანეთს,—საკვირველია, როგორ ვცხოვრობდით ადრე, როდესაც ჩვენში არ იყო მართლმსაჯულება!

თარგმნა გ. ცინცაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

